მშრომელთა ყველა ქვეყანავ, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ორშაბათი, 21 თებერვალი 1937 წ. № 41 (4843)

დღეს კრემლის კედელი სამუდამოდ მიიბარებს მგზნებარე ბოლშევიკის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებლის, სოციალიზმის რაზმის-ტრიის შესანიშნავი სარდლის, პროლეტარული რევოლუციის რაინდის, ხალხის ერთგული შვილის, განსაკუთრებული ადამიანის, მეგობრისა და ამხანაგის სერგო ორჯონიკიძის ფერფლს...

სერგოს ნათელი ხსოვნა მარად გასწვდება კომუნიზმისათვის მებრძოლთა თაობებს!

ხალხის გლოვა

იგი იყო ხალხის ერთგული შვილი და მეგობარი, პროლეტარული რევოლუციის კრისტალურად პატიოსანი, შეურიგებელი და კეთილშობილი რაინდი. მას უწოდებდნენ მრისხანედ და ალერსით — სერგოს. დიდი, მრავალისდამტევი ცხოვრების ადამიანი, იგი დაიწვა სამუშაოზე, მან თავისი გული შესწირა ხალხის კეთილდღეობას. ფელიქს ძერჟინსკის მსგავსად, მას შეეძლო თავის შესახებ ეთქვა თავისი პარტიისათვის, თავისი მუშათა კლასისათვის: — მე არასოდეს არ დამიზოგავს თავი. ამიტომ გიყვარვართ თქვენ ყველას, იმიტომ, რომ თქვენ ჩემი გულიროდათ. მე არასოდეს არ ვთაღლითობდი, მე მთელი სიცოცხლე პარტიას შევწირე....

გაივლის წლები, გაივლის საუკუნეები, მაგრამ მარადიული ჩაუქრობელი შუქით იკაშკაშებს სერგო ორჯონიკიძის სახე შთამომავლობათა გულში. მთელი მისი ელვარე, შესანიშნავი ცხოვრება ალსავსე იყო გმირული გამბედაობით. პარტიის ერთგულ შვილს, მას, თავისი კლასობრივი ძმების, საუკეთესო ბოლშევიკების მსგავსად, არ შეეძლო ნახევრად სიძულვილი ან ნახევრად სიყვარული. კომუნისტის მთელი დაუცხრომელი, მგზნებარე ვნება, მთელი თავისი სული მან შესწირა ხალხის საქმეს. მას არ გააჩნდა სხვა ცხოვრება, გარდა ცხოვრებისა სოციალიზმის დიადი საქმისათვის. მუდამ და, ყველგან იგი ცეცხლის მოწინავე ხაზზე იყო. სიცოცხლე და ბრძოლა, ბრძოლა და სიცოცხლე.

სიკვდილმა შესწყვიტა სიმღერასავით მშვენიერი, გმირული სიცოცხლე. აღარ ჰფეთქს ორჯონიკიძის ცეცხლოვანი გული. კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში სერგოს მკვდარი სხეული დევს. დიდია ხალხის გლოვა... სვდიანად კუგუნებს სამგლოვიარო მელოდია. საპატიო ყარაულები იცვლებიან.

მასზე, არაჩვეულებრივი სულიერი სილამაზის ადამიანზე, ფიქრობენ ამჟამად მილიონობით ადამიანები, რომლებისთვისაც იგი იყო მეგობარი, ბელადი, მასწავლებელი და ამხანაგი. დონბასელი მნგრეველი ალექსი სტახანოვიც, რომლის სანგრევი ურმის პირველსავე დარტყმაში სერგომ სოციალიზმის სიმფონია გაიგონა, მარიუპოლელი მეფოლადე მაკარ მაზაიც, რომლის შესანიშნავი შრომითი გმირობა სერგომ უმალვე ფარზე აღმართა. მხატვრებიც, რომელთაც იგი აღაგზნებდა თავისი დაუშრეტელი შემოქმედებითი ინიციატიკით, მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანებიც, რომელთაც იგი განუწყვეტლივ ასწავლიდა მუდამ გამოეჩინათ გამბედაობა, მუდამ წინ წასულიყვნენ, და მოხუცი, ბრძენი სახალხო პოეტი სულეიმან სტალსკიც, რომელმაც მთის ნიაღვარივით საუცხოო ლექსი შესთხზა სერგო ორჯონიკიძის საგმირო ცხოვრებაზე:

იგი იშვა ჩვენდა ლხენად,
ჯალათების შესაზარად,
იგი იშვა გრგვინვადა და ქარიშხალად...

სვეტებიან დარბაზში სიჩუმეა... დიადად და ნაღვლიანად გაისმის შოპენის მარში. უსიტყვოდ, მწუხარების დუმილით გაივლიან შრომის ადამიანები მკვდარი ბოლშევიკის გვერდით, რომელსაც, როგორც სიცოცხლეში, აცვია ზაკისფერი, ნახევრად-სამხედრო ტუჟურკა. თეთრად მოსჩანს სერგოს მაღალი, გაშლილი შუბლი. და უცნაურად, წარმოუდგენლად უცნაურად გეჩვენება, რომ ბოლშევიკის ეს კეთილშობილი ბაგენი უკვე არასოდეს აღარ ამეტყველდებიან...

სულ ცოტა ხნის წინათ, ორი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ამხანაგი სერგო, ცოცხალი, მგზნებარე სერგო ტრიბუნაზე იდგა, და ამავე სვეტებიან დარბაზში ჰქუხდა რწმენითა და მხნეობით გამსჭვალული მისი აღგზნებული ხმა. მის ამაღელვებელ, წარმტაც და თავისი ძლიერებით განსაცვიფრებელ სიტყვას ისმენდნენ სტახანოველები, ადამიანები, რომელთაც იგი საბჭოთა დევგმირებს უწოდებდა. სერგო ლაპარაკობდა სოციალიზმისათვის ბრძოლებზე, რომელთაც ჩვენი მუშათა კლასი აწარმოებს. ოდესღაც დიდი მხატვარი, მშვენიერი ფერადებით ხატავდა იგი ჩვენი ცხოვრების წარმტაც პერსპექტივებს.

ჩვენი სამშობლოს კიდით კიდემდე განთქმულია სერგოს სახელი. **უერთგულესი, უაღრესად საიმედო და საქმიანი რევოლუციონერი** — ასეთად სთვლიდა ქას გენიალური ლენინი. და ასეთი— უეთგულესი, უაღრესად თავდადებული ბოლშევიკი, ხალხის ერგობარი, რევოლუციის მტრებისადმი დაუცხრომელი სიძულვილით გამსჭვალული იყო იგი თავისი სიცოცხლის დასასრულამდე.

მოგვშორდა სტალინის მიერ გამოწრთობილი ადამიანი. მისი სახე იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში. გლოვის გიგანტური გამოძახილი სულ უფრო და უფრო იზრდება. მწუხარებას მოუცავს სოციალიზმის ქვეყანა. შორეული ალდანის საბადოებში, დონბასის შახტებში, „მაგნიტკისა“ და ყუზნეცკის ბრძმედებზე, ყველგან უდიდესი მწუხარებით, ღრმა სევდით იგონებენ მშრომელები კომუნიზმისათვის დაუღალავ მებრძოლს — ამხ. სერგოს.

ბრძოლისა და არალეგალობის გაჭირვების წლებში, სამოქალაქო ომის წლებში, როცა არაერთხელ შეჰგებებია სიკვდილს პირისპირ, სტალინური ხუთწლედების წლებში, როცა მძიმე მრეწველობას ჰქმნიდა და კადრებს ზრდიდა, იგი მიდიოდა თავალმართული, იცავდა რა ბოლშევიზმის შეუბღალავ დროშას. სერგო, ედგა რა მხარში სტალინს, რომელიც მას „მშვენიერი, სათუთი, ბოლშევიკური სიყვარულით უყვარდა, იგერიებდა მტრებს, ტროცკისტ არამზადების იერიშებს და ხალხთან ერთად მიდიოდა სულ ზევით კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

მას უყვარდა მუშათა კლასი ბოლშევიკის ღრმა, წმინდა სიყვარულით. სწამდა მისი ძალა, მისი მშენებლობითი შემოქმედებითი უნარი. ხალხისათვის, მუშათა კლასისათვის რა სიამაყით სთქვა მან სტახანოველებზე, რომ მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში შეიძლება იყოს ასეთი ადამიანები! ეს იყო სტახანოველთა სრულიად-საკავშირო თათბირზე. სერგოს ღია, ვაჟკაცური სახე ბედნიერებით ბრწყინავდა, როცა ხედავდა ადამიანებს, რომელთაც თავდაყირა დააყენეს ძველი ნორმები და დაამყარეს ოქტომბრის რევოლუციის ახალი ნორმები, ლენინ-სტალინის ნორმები.

სისხლი გეყინება, როცა ფიქრობ, რომ სერგო, ძვირფასი სერგო, აღარ არის ჩვენს შორის. სოციალიზმის ქვეყნის ჭაბუკს, რომელიც ახლად იწყებს ცხოვრებას, ჩვენ გაბედულად ვეტყვით: გაიხადე ნიმუშად ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე, — ბოლშევიკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, უკლებლივ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მუშათა კლასის საქმეს შესწირა.

ვერაფერი, ვერსად და ვერასოდეს ვერ შეაჩერებს სოციალიზმის ძლევამოსილ, ტრიუმფალურ მსვლელობას. ძვირფასო სერგო! სამშობლო, შენი მშვენიერი სამშობლო, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი გლოვობს შენს უდროოდ სიკვდილს და შენს კუბოზე ხრის თავის საბრძოლო დროშებს. ბრძოლებით აშენებულ სოციალიზმში შენი ენერგიაც, შენი აღგზნებაც, შენი სიცოცხლეც არის ჩაქსოვილი. შენ იბრძოდი ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისათვის, შენ ოცნებობდი ახალ, მომავალ ბრძოლებსა და გამარჯვებებზე.

ძვირფასო სერგო, კარგო, საყვარელო ამხანაგო! შენ მუდამ იქნები ჩვენთან და ჩვენს შორის. კომუნიზმის გასხივოსნებულ მწვერვალებიდან ჩვენ გადავავლებთ თვალს განვლილ გზას და უდამ გვეხსომები, ჩვენო ერთგულო მეგობარო და ამხანაგო, შენ, რომელმაც შენი საუცხოო სიცოცხლე პარტიას, მუშათა კლასს, რევოლუციას შესწირე...

(„პრავდის“ მოწვინავე, 20/II)

გამოსამშვიდობებელი ამხ. გ. კ. ორჯონიკიძის გარდაცვალების გამო საზღვარგარეთ

ტოკიო, 19 თებერვალი (საქდესი). ტოკიოს ყველა გაზეთის საღამოს გამოცემებში თვალსაჩინო ადგილას მოყვანილია ცნობა ამხ. ორჯონიკიძის უდროოდ გარდაცვალების შესახებ. გაზეთებს დაწვრილებით მოჰყავთ ამხ. ორჯონიკიძის ბიოგრაფია და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იგი იყო მძიმე მრეწველობის უბადლო ორგანზატორი და ხელმძღვანელი.

ლონდონი, 19 თებერვალი (საქდესი). ყველა გაზეთი ათავსებს ცნობას ამხ. ორჯონიკიძის გარდაცვალების შესახებ. რეიტერის სააგენტოს მოჰყავს ამხ. ორჯონიკიძის ბიოგრაფია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ათი წლის განმავლობაში ამხ. ორჯონიკიძემ სსრ კავშირის მრეწველობა აიყვანა უცხოეთის ძალქანებისაგან თითქმის სრული დამოუკიდებლობის დონეზე.

ლონდონი, 19 თებერვალი (საქდესი). დღეს ლონდონში საბჭოთა სამეფონეო ორგანიზაციების და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებმა ჩაატარეს სამგლოვიარო მიტინგები, მიძღვნილი უდროოდ გარდაცვალებული ამხ. ორჯონიკიძის ხსოვნისადმი.

ბერლინი, 19 თებერვალი (საქდესი). დღეს ბერლინში, ამხ. ორჯონიკიძის უდროოდ გარდაცვალების გამო, გაიმართა საბჭოთა კოლონიის სამგლოვიარო კრება. ამხ. სერგოს ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. კანდელაკი.

რევოლუციის მებრძოლ ძალთა ორგანიზაციორი

ენით გამოუთქმელი მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ, ჩვენმა სამშობლომ და მისმა შეიარაღებულმა ბურჯმა — მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ.

აღარ ჰფეთქს გული კრისტალურად წმინდა რევოლუციონერისა, დიდი ჭკუის, რკინის ნებისყოფისა და დაუღალავი ენერგიის ადამიანისა, აღარ ჰფეთქს გული რევოლუციის მებრძოლ ძალთა ორგანიზატორისა, სამოქალაქო ომის გმირისა, სოციალიზმისათვის მგზნებარე, უშიშარი მებრძოლისა — **გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძისა.**

ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მაღროებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ყველგან — ამ სამწუხარო ამბავმა საყოველთაო სახალხო გლოვა გამოიწვია. დიდი გულისტკივილით განიცდის თავის მშობლიური **სერგო ორჯონიკიძის**, თავისი უნიჭიერესი ორგანიზატორის, მამაცი მეომრისა და მეგობრის უეცარ დაკარგვას მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ნამდვილი ბოლშევიკის მთელი თავისი ცხოვრების გზა ამხანაგმა **ორჯონიკიძემ** ლენინ-სტალინის დროშით განვლო, ბარიკადებზე, საპატიმროებში, შორეულ გადასახლებაში იგი მუდამ ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი შვილი იყო.

არალეგალობის მძიმე პირობებში ამხანაგი **ორჯონიკიძე** ლენინისა და სტალინის გვერდით და მათი ხელმძღვანელობით აშენებდა, განამტკიცებდა ბოლშევიკურ პარტიას, სჭედდა კაპიტალიზმზე პროლეტარიატის გამარჯვებას, შეურიგებლად იბრძოდა ლენინიზმის ყველა და ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის წლებში პარტია ანდობდა ამხანაგ **ორჯონიკიძეს** უაღრესად პასუხსაგებ უბნებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1917 წლის შემოდგომაზე იგი მონაწილეობას ღებულობს კრასნოვ-კერენსკის ბანდების მოგერიებაში პეტროგრადთან.

1918 წლის იანვარს ამხანაგ **სერგოს** ვხედავთ უკრაინაში ცენტრალური მთავრობის საგანგებო კომისრის ქალაქში. წარმოუდგენლად ძნელ პირობებში აჩაღებს იგი უდიდეს მუშაობას: აწყობს საბჭოთა ხელისუფლებას, აღგზნებული სიტყვით და შეუპოვარი მუშაობით ხელს უწყობს უკრაინის დაცვას გერმანელ ინტერვენტებისაგან, აწესრიგებს რკინიგზის ტრანსპორტს, აწყობს ჰურის გატანას პროლეტარულ ცენტრებში და ფასეულობათა გატანას, რომლებსაც პირდაპირ ხელიდან ჰგლეჯს გერმანელ მტაცებელ ოკუპანტებს.

1918 წლის აპრილს ამხანაგი **სერგო ორჯონიკიძე** ინიშნება სამხრეთ-რუსეთის საგანგებო კომისრად; იმ დროს სამხრეთ-რუსეთში კლასობრივ და ნაციონალურ წინააღმდეგობათა ცეცხლი იყო დანთებული.

საჭირო იყო ბოლშევიკური ძალების შეგროვება, გაერთიანება, მუშათა და გლეხთა მასების დარაზმვა, ერთგულ და საიმედო მეთაურთა შერჩევა, წითელარმიელთა რაზმების შედგენა, ხელახლად შექმნა, საბჭოთა ხელისუფლების შენება და განმტკიცება. ამ და სხვა მრავალ ამოცანას ამხანაგი **ორჯონიკიძე** უდიდესი წარმატებით სწყვეტდა.

1918 წელს ჩრდილო-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებას თავს დასტრიალებდა საფრთხე დენიკინის მხრივ. ამხანაგ **ორჯონიკიძეს** დაევალა—შეჰქმნას და სათავეში ჩაუდგეს თერგის ოლქის თავდაცვის კომიტეტს. ცალკეულ დაჭაქსულო, განუწყვეტლივ ბრძოლაში მყოფი რაზმებისაგან იგი ადგენს რეგულარულ მე-11 წითელ არმიას. მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო.

ცენტრს მოწყვეტილი მე-11 არმიის ნაწილებს საომარი მასალა შემოელიათ.

პარტახტიანი სახადი და სხვა ინფექციური დაავადებანი ათასობით ცელავდნენ მეომრებს. საჭირო გახდა 1918 - 1919 წლის სუსხიან ზამთარში ტიალი ველებით დაეხიათ ასტრახანისაკენ. ამ მძიმე დღეებში არ შემდრკალა ბოლშევიკ სერგო **ორჯონიკიძის** რკინის ნებისყოფა. როგორც მასების ნამდვილმა მებრძოლმა ხელმძღვანელმა, მან შესძლო შეენარჩუნებინა მეომართა და მეთაურთა ძირითადი კადრები; შემდეგში ეს კადრები გადაიქცნენ იმ ახალ სამხედრო ფორმირებათა ხერხემლად, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ თეთრგვარდიელთა ურდოებისაგან ჩრდილო-კავკასიის განთავისუფლებისათვის.

1919 წლის ზაფხულში ამხანაგი **ორჯონიკიძე** დასავლეთის ფრონტზეა.

აქ ამხანაგმა სტალინმა დაავალა მას პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს მე-16 არმიას, რომელიც საბჭოთა ბელორუსიას იცავდა თეთრპოლონელი ჯარების შემოსევისაგან. ამ ფრონტზე ამხანაგი **ორჯონიკიძე** მოკლე ვადაში აღწევს დიდ გამარჯვებებს. მისი პირადი ხელმძღვანელობით მე-16 არმია აჩერებს მტრის წინსვლას, ანთავისუფლებს ქალაქ ბორისოვს პოლონელ ინტერვენტებისაგან.

1919 წლის შემოდგომაზე, როცა სამხრეთის ფრონტზე რევოლუციის ბედი სწყდებოდა, ამხანაგი ორჯონიკიძე იგზავნება ამ ფრონტის ერთერთ უაღრესად პასუხსაგებ უბანზე—მე-14 არმიაში. როგორც ამ არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი, ამხანაგი **ორჯონიკიძე** ორლოვ-კრომსკის ბრძოლაში ხელმძღვანელობას უწევს დამკვრელი ჯგუფის მოქმედებას, რომელმაც გაანადგურა თეთრგვარდიელ მოხალისეთა კორპუსი, აღნიშნა რა ამით დენიკინშჩინის ლიკვიდაციის დასაწყისი. ამ დაუვიწყარ დღეებში ამხანაგი **სერგო** განსაკუთრებით მძაფრ მუშაობას ეწევა. იგი გაჩნდება ხოლმე ყველაზე პასუხსაგებ საბრძოლო უბნებზე, აღაფრთოვანებს მეომრებს მათთან ერთად გადადის შეტევაზე და ამასთან ერთად ამაგრებს ზურგს. აღადგენს საბჭოთა ხელისუფლებას განთავისუფლებულ რაიონებში, აგვარებს ომით განადგურებული ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებას.

სერგოს სახელთან დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმის განხორციელება-გამანადგურებელი ლახვარის ჩაცემა მონალისეთა არმიისათვის დონეცის ბასეინში, დონბასის და უკრაინის მთელი მარცხენა ნაპირის განთავისუფლება.

1920 წლის დამდეგიდან ამხანაგი **ორჯონიკიძე** არის კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. მისი დირექტივებით და მისი ხელმძღვანელობით კავკასიის ფრონტის ჯარებმა ბაქოს პროლეტარიატთან ერთად დაამხეს მუსავატელთა ხელისუფლება.

სერგო ორჯონიკიძის, როგორც აზერბაიჯანის და შემდეგ —სომხეთისა და საქართველოს განმათავისუფლებლის, სახელს სიყვარულით წარმოსთქვამენ მშრომელები ჩრდილო-კავკასიისა და ამიერკავკასიის ყველა ქალაქში, ქარხანაში, ნავთის სარეწაოებში, აულებში, სტანიცებსა და კოლმეურნეობებში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამხანაგი **ორჯონიკიძე** მთელი რიგი წლების მანძილზე მრავალეროვანი ამიერკავკასიის განსაკუთრებით რთულ პირობებში პრაქტიკულად ანხორციელებდა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ამტკიცებდა ხალხთა ძმურ თანამეგობრობას, დაუნდობლად უსწორებდა ანგარიშს ნაციონალისტურ კონტრრევოლუციურ ელემენტებს.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში **გრიგოლ კონსტანტინეს-ძემ**, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრმა, ბევრი შრომა და მჩქეფარე ენერგია მოანდომა მუშურ-გლეხური წითელი არმიის განმტკიცებისა და სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის საქმეს.

ამხანაგ **ორჯონიკიძის** სახელთან განუყოფელად არის დაკავშირებული მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთელი ტექნიკური ხელახალი შეიარაღება.

როდესაც ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიშალა გრანდიოზული მუშაობა სოციალისტური სამშობლოს თავდაცვაუნარიანობის გაძლიერებისათვის, ამხანაგ **ორჯონიკიძეს**, როგორც სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, დაეკისრა უაღრესად პასუხსაგები ამოცანა—თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით შეიარაღოს წითელი არმია, მისცეს შეიარაღებულ ძალებს ყოველივე ის, რითაც შეიარაღებული უნდა იყოს გამარჯვებული სოციალიზმის არმია. და ეს უაღრესად ძნელი და რთული ამოცანა **გრიგოლ კონსტანტინეს-ძემ** ჩინებულად გადაჭრა.

მასების უნიჭიერესი ორგანიზატორი, მათი ბელადი და მგზნებარე ტრიბუნი, მშვენიერი, გულისხმიერი, გრძნობიერი, მუდამ ახლოველი მებრძოლი ამხანაგი და მეგობარი—მუდამ ასეთი დარჩება ჩვენს მეხსიერებაში ჩვენი **სერგო ორჯონიკიძე** უდიდესი სიყვარულის გრძნობით მოიგონებენ მას წითელი არმიის მეომრები, მეთაურები, პოლიტმუშაკები, ინჟინერები და ტექნიკოსები. არასოდეს არ წაიშლება ჩვენს მეხსიერებაში დაუღალავი ბოლშევიკის, მგზნებარე რევოლუციონერის, მკაცრი მებრძოლის და ამავე დროს ყველაზე ახლობელი და მშობლიური ამხანაგისა და შესანიშნავი ადამიანის ნათელი სახე.

საუკუნო ხსოვნა ლენინ-სტალინის საქმის ერთგულ მებრძოლს, სამოქალაქო ომის ისტორიული ბრძოლების გმირს, სოციალისტური ინდუსტრიის დაუღალავ მშენებელს **გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძეს**, დაუვიწყარ, მშობლიურ **სერგოს!**

ვოროშილოვი, გამარნიკი, ტუხაჩევსკი, ბუდიონი, ეგოროვი, ბლიუხერი, იაკირი, უბორევიჩი, ბელოვი, შაპოშნიკოვი, ვიჭტოროვი, ოროლოვი, ალქსნისი, ოსეპიანი, გულინი, ლევანდოვსკი, სმირნოვი, დუბოვოი, არონ შტამი, კაშირინი, ამელინი, ფედკო, ვეკლიჩევი, შაადენკო, კოტაკი, ხახანიანი, დიბენკო, მეზისი, ველიკანოვი, იასტრებოვი, გარკავი, ზინოვიევი, გრიაზნოვი, შესტაკოვი, გაილიტი, პროკოფიევი, იარცევი, კოშანოვი, გრიშინი, სივკოვი, გუგინი, ხალეპსკი, ლევიჩევი, მეშენინოვი, სედიაკინი, ეიდემანი, კოშევნიკოვი, იპო, სიდოროვი, სლავინი, ტოდორსკი, ურიცკი, ფელდმანი, ხრულევი, შიფრესი, ეფიმოვი, ბოკისი, ხრიპინი, ლიტუნოვსკი.

დიკლომატიური კორპუსის სამძიმარი

მოსკოვი, 19 თებერვალი (საქდესი). მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის, საკ. კ.პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის გარდაცვალების გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. მ. მ. ლიტვინოვს სამძიმარი გამოუცხადეს: ავღანისტანის ელჩმა ბ. აბდულ ჰუსეინ ხან აზიზმა, ინგლისის ელჩმა ლორდ ჩილსტონმა, გერმანიის ელჩმა გრაფმა შულენბურგმა, იტალიის ელჩმა ბ. როსმა, საფრანგეთის ელჩმა ბ. კულონდრმა, ჩინეთის ელჩმა ბ. ძიან ტინ-ფუმ, თურქეთის ელჩმა ბ. აფაიდინმა, იაპონიის ელჩმა ბ. სიგემიცუმ და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბ. დევისმა, ლიტვის მთავრობის სახელით ლიტვის ელჩმა ბ. ბალტრუშაიტისმა, ნორვეგიის ელჩმა ბ. ურბინ, შვეიცის ელჩმა ბარონ იულენშერნმა, ფინეთის ელჩმა ბარონ ირიე-კონკინენმა, უნგრეთის ელჩმა ბ. იუნგერტარნოტიმ, ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ბ. პავლუმ, რუმინეთის ელჩმა ბ. ჩიუნტუმ, ბელგიის ელჩმა ბ. ლე ტეციემ, საბერძნეთის ელჩმა ბ. პაპასმა, ბულგარეთის ელჩმა ბ. ანტონოვმა, ესტონეთის ელჩმა ბ. ტრაუსმა, მონღოლეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბ. დენდიპმა, ლატვიის საქმეთა რწმუნებულმა ბ. ზელისმა, დანიის საქმეთა რწმუნებულმა გრაფ მოლტკემ, ავსტრიის საქმეთა რწმუნებულმა ბ. შვინერმა.

◇ ◇ ◇

პარიზიდან — 19/II — 37. წ. 11 ს. და 45 წუთი.

მოლოტოვს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

გულწრფელ სამძიმარს გითვლით იმ დანაკლისის გამო, რომელიც საბჭოთა მთავრობამ განიცადა.

ერიო.

დადგენილება

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის ცაკის წევრის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის **ამხანაგ ორჯონიკიძის** დაკრძალვის დღეს, 21 თებერვალს, მოიხსნას თბილისში ყოველგვარი გასართობები: სპექტაკლები, კონცერტები და სხვ. წარმოდგენები თეატრებსა, კლუბებსა, კინოებსა, ცირკსა, რესტორანებსა და ყველა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

21 თებერვალს, დღის 3 საათზე, ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შესდგება საკ. კ.პ. (ბ) პოლიტბიუროს წევრის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

ხსოვნისადმი მიძღვნილი

თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

ა.-კ. ცაკის, საქ. ცაკის, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის, საქ. ალკა ც. კ-ის, საქ. ალკა თბილისის კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, ხოლო დანარჩენნი — სპეციალური ბილეთებით.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, მოზარდ მაყურებლის თეატრის შენობაში (ლენინის ქ. № 3) შესდგება

ორჯონიკიძის რაისაბჭოს პლენუმის სამგლოვიარო სხდომა

მიძღვნილი საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძის

ხსოვნისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1937 წლის 18 თებერვალს საბრძოლო პოსტზე გარდაიცვალა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

ლენინ - სტალინის პარტიის ერთერთი მშენებელი, მისი ერთგული შვილი და მებრძოლი, პროლეტარული დიქტატურის უშიშარი დამცველი, სოციალისტური ინდუსტრიის ორი ხუთწლედის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, სტახანოველთა მგზნებარე ხელმძღვანელი და საუკეთესო მეგობარი, რომელმაც მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს შესწირა.

მძიმე მრეწველობის არმიისთვის მუდამ ცოცხალი იქნება სახე თავისი დაუვიწყარი მეგობრისა და ხელმძღვანელისა, იგი კიდევ უფრო შეამჭიდროვებს თავის რიგებს სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

გამოჩენილი მებრძოლი სოციალიზმისათვის

ამხ. სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალება უდიდესი მწუხარებით აღავსებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულს, რომელთა განთავისუფლებას შესწირა მან თავისი ნათელი გონება, თავისი მგზნებარე გული, თავისი მჩქეფარე ენერგია, მთელი თავისი განსაცვიფრებელი ცხოვრება რევოლუციონერისა, მებრძოლისა და ხალხთა მასების ბელადისა.

აღარა გვყავს ლენინისა და სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი, მათი უერთგულესი მეგობარი, მათი საიმედო თანამეესაგრე, რომელიც მათთან შედუღებული იყო ათეული წლების საერთო მუშაობით, ბრძოლით, აზრითა და გამარჯვების ნებისყოფით.

სერგო ორჯონიკიძის მთელი ცხოვრება მჭიდროდ დაკავშირებულია მუშათა მოძრაობის ისტორიასთან, ბოლშევიკთა პარტიის ისტორიასთან, დიდი პროლეტარული რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ისტორიასთან. ძველი ბოლშევიკური გვარდიის მუდამ უდრეკი წარმომადგენელი, იგი ლენინთან და სტალინთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით მეფის არალეგალობის მძიმე პირობებში აშენებდა ბოლშევიკურ პარტიას. მას ლენინთან და სტალინთან ერთად მიჰყავდა მშრომელი მასები ბოლშევიკთა პარტიის მეთაურობით გამარჯვებისაკენ, 1917 წლის ოქტომბერში იგი ლენინთან და სტალინთან ერთად, ვოროშილოვთან და ტროცკისტ-ზინოვიეველთა ხროვის მიერ ვერაგულად მოკლულ კიროვთან ერთად ხელიხელჩაკიდებული სამოქალაქო ომის წლებში იყო. ბრწყინვალე ორგანიზატორი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდა წითელი არმიის გამარჯვებებისა, ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ურდოების ძალებზე. ლენინურ-სტალინურ კოჰორტაში იგი რკინის სახკომია, რომელმაც გადაიტანა პრაქტიკული მუშაობის უდიდესი სიმძიმე სოციალიზმის აშენებლობისათვის სსრ კავშირში.

სიკვდილმა ჩვენს რიგებს იმ მომენტში გამოსტაცა მსოფლიო პროლეტარიატის ერთერთი საუკეთესო ადამიანი, გამოჩენილი პროლეტარული სახელმწიფო მოღვაწე, ადამიანი, რომელშიაც განსახიერებული იყო მებრძოლი კომუნისტის უძვირფასესი თვისებანი, — როდესაც მისი დაუშრეტელი ენერგია, მისი არაჩვეულებრივი ნიჭი, მისი უდიდესი გამოცდილება ასე სჭირდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სოციალიზმის ქვეყანას და მთელ საერთაშორისო მუშათა კლასს.

სერგო ორჯონიკიძის მთელი ცხოვრება, მთელი მოღვაწეობა მაგალითი იქნება მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის კადრებისათვის. ამ შესანიშნავი ცხოვრების გაკვეთილებზე ისწავლიან ყველა ქვეყნის მუშათა თაობები, თუ როგორ უნდა ცხოვრება, ბრძოლა, სიძნელეთა გადალახვა და გამარჯვება.

გარდაიცვალა კაცობრიობის ერთერთი უაღრესად გამოჩენილი მებრძოლი სოციალიზმისათვის.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონების სახელით თავის უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც თავს დაატყდა საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), დიდი საბჭოების ქვეყნის ხალხებსა და მსოფლიო პროლეტარიატს.

კომუნისტური ინტერნაციონალი თავის საბრძოლო დროშებს ხრის ამ დიდი რევოლუციონერის, კლასობრივ მტერთან ბრძოლაში მასების სანიმუშო ბოლშევიკი ხელმძღვანელის, სოციალისტური ინდუსტრიის მშენებლობის ფრონტზე და საბჭოთა სამშობლოს—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს — თავდაცვის უნარიანობის დარგში უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზატორის — ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარი სერგოს ნათელი ხსოვნის წინაშე.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

◇ ◇ ◇

დიდი პროლეტარული რევოლუციონერი

უდიდესი, აუწერელი მწუხარება მოევლინა ჩვენს პარტიას, მუშათა კლასს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, მთელ მოწინავე კაცობრიობას: სერგო ორჯონიკიძე აღარა გვყავს. გარდაიცვალა დიდი პროლეტარული რევოლუციონერი, ძველი მგზნებარე ბოლშევიკი, ჩვენი პარტიის ერთერთი მშენებელი, მისი ერთიანობისათვის, მისი რიგების სიწმინდისათვის დაუღალავი მებრძოლი, ლენინისა და სტალინის გამოჩენილი თანამებრძოლი, სოციალისტური ინდუსტრიის ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორი. დანაკლისი განუზომელი და უუნაზღაურებელია.

სულ სამ-ნახევარი თვის წინათ მთელი საბჭოთა კავშირი დღესასწაულობდა სერგოს 50 წლისთავს. თითქოს, ეს გუშინ იყო: ისე ცოცხალია მეხსიერებაში საყოველთაო-სახალხო ალერსი, რომლითაც ამ დღეს მთელი ხალხი უპასუხებდა თავის სერგოს იმ მღელვარე, მჩქეფარე ცხოვრებისათვის, რომელიც მან ხალხს უძღვნა, უპასუხებდა მისი სიყვარულისათვის მშრომელების მიმართ, მისი მზრუნველობისათვის ადამიანზე. გაზეთების ფურცლებიდან გეიცქეროდა მოღიმარი, ჭკვიანი თვალები იმ ადამიანისა, რომელიც იყო მთელი პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის საყვარელი ადამიანი, რომელსაც სიყვარულით უწოდებდნენ: ჩვენი სერგო. ეს პატიოსანი, გაბედული, ლამაზი თვალები სამუდამოდ დაიხუჭა. მაგრამ სერგოს სახელი სითბოს სხივებს მოგვფენს და სამუდამოდ დარჩება სიმბოლოდ რევოლუციური პროლეტარული გამბედაობისა, მშრომელების მიმართ სიყვარულისა, ხალხის მტრების მიმართ სიძულვილისა.

ამხანაგი ორჯონიკიძის სახელოვანი ცხოვრება — ეს ჩვენი პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის გმირული ისტორიის ფურცლებია. იგი ამ ისტორიაში შევიდა როგორც ლენინის გამოჩენილი მოწაფე, სტალინის მოწაფე და მეგობარი. იგი ბრძოდა მათთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიდ მშენებლებთან ერთად და არცერთი ნაბიჯით არ გადაუხვევია გვერდზე, არც ერთხელ არ შემდრკალა, ეს ურყევად მტკიცე, უშიშარი ბოლშევიკი. იგი იყო ბოლშევიზმის მგზნებარე რაინდი, ყოველგვარი ოპორტუნიზმის, რწმენანაკლებობის, უპატიოსნო პოლიტიკანობის, ცალიერი ფრაზიორობის შეურიგებელი და სასტიკი მტერი. ლენინისა და სტალინის მოწინააღმდეგენი ორჯონიკიძის მოწინააღმდეგენი იყვნენ და მთელმა მისმა სიცოცხლემ განვლო ბრძოლაში პარტიის ერთიანობისათვის, ბოლშევიკური რიგების სიწმინდისათვის.

სერგომ ცარიზმის წლებში განიცადა პროფესიონალი რევოლუციონერის, პროლეტარიატის მებრძოლის ცხოვრების მთელი სიმძიმე. მას საპყრობილეებსა და გადასახლებაში უგროვდებოდა სიძულვილი ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების მიმართ. არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში გაიზარდა მასების ორგანიზატორის მისი გამოცდილება.

დიადმა პროლეტარულმა რევოლუციამ და საოქალაქო ომმა სერგო აიყვანეს ხალხის გამოჩენილი ხელმძღვანელის უდიდეს ისტორიულ სიმაღლეზე. იგი არმიებს ჰქმნიდა ფრონტზე და ხალხთა თანამეგობრობა შეჰქმნა კავკასიაში.

სამოქალაქო ომი დამთავრდა,—ბრძოლა გრძელდებოდა. პარტიამ ორჯონიკიძეს მიანდო კონტროლი სოციალიზმის მშენებლობაზე, პარტიის რიგების სიწმინდეზე. ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის პასუხსაგებ თანამდებობაზე ორჯონიკიძემ გამოიჩინა თავადი: არწივისებური სიმახვილე, ლომისებური სიმამაცე, პირდაპირობა და ერთგულება ბოლშევიზმის სახელოვანი ტრადიციებისადმი. ორჯონიკიძე დაუნდობლად ამეღავნებდა პარტიაში თვალთმაქცებსა და გამცემლებს და მან პარტიის მტრებს მრავალი გამანადგურებელი მახვილი ჩასცა.

მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელობა ამხანაგ ორჯონიკიძის ტრიუმფი იყო. მას ტყუილად კი არ უწოდეს სოციალისტური ინდუსტრიის არმიის სარდალი. იგი მას გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა. აქ მთელი თავისი ბრწყინვალებით გაიშალა მისი, როგორც ორგანიზატორის, ხელმძღვანელის, ადამიანთამცოდნის, ბოლშევიკური კადრების აღმზრდელის შესანიშნავი ნიჭი. იგი იყო არმიის სარდალი, — აღაგზნებდა მუშებსა და ინჟინრებს სიძნელეთა წინააღმდეგ იერიშისათვის, აღაფრთოვანებდა მაგალითითა და სიტყვით, უნერგავდა მათ თავის დაუშრეტელ ენერგიას, ბოლშევიკურ ენტუზიაზმს, შრომისა და ბრძოლის დაუცხრომელ წყურვილს, სოციალიზმის გამარჯვების მხურვალე რწმენას.

იგი ჭეშმარიტად სოციალისტური შრომის პოეტი იყო. მან დააფასა და აიტაცა სტახანოველთა ინიციატივა, იმიტომ რომ მოამზადა ეს ინიციატივა კადრების გამოზრდით სტალინის მითითებათა თანახმად. ამხანაგ სტალინისაგან ისწავლა სერგომ ყურადღებით, სიყვარულით მოპყრობა კომუნისტური შრომის, გმირული და მამაცური შრომის პიონერებისადმი. იგი იცნობდა მძიმე მრეწველობის ყველა ოდნავ შაინც გამოჩენილ მუშაკს, იცნობდა მარტო სახელით კი არა, არამედ ღრმად სწვდებოდა მუშაკთა ცხოვრებას, ხასიათს. იგი იყო მკაცრი უფროსი და ერთგული ამხანაგი. მისი მომთხოვნელობა გულისხმიერებაც იყო.

სერგოს ჰქონდა დიდი ბოლშევიკის დიდი ბა მხურვალე გული. ამ გულში ღვივოდა მუშათა კლასის, მშრომელთა შთელი კაცობრიობის მხურვალე სიყვარული და მუშათა კლასის და კაცობრიობის მტრების სასტიკი სიძულვილი. ამ დიდი გულის ფიზიკურ გარსს ბრძოლის, დევნის, მღელვარებათა წლებმა თავისი კვალი დაუჩინა. მაგრამ ავადმყოფი გული კვლავ აღსავსე იყო რევოლუციური გზნებით, აღსავსე იყო ჩვენი დიდი სამშობლოს სიყვარულით. სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ძვირფასი სიცოცხლე.

დაობლდა ჩვენი პარტია, დაობლდა ჩვენი ქვეყანა. უსაზღვროა საბჭოთა კავშირის ყველა პატიოსანი მოქალაქის, მთელი მშრომელი კაცობრიობის მწუხარება. მწუხარების ამ წუთებში ჩვენი გონება მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, იმათკენ, ვინც განსვენებულის უახლოესი მეგობრები, მისი პირველი ამხანაგები იყვნენ, — ჩვენი პარტიის პოლიტბიუროს წევრებისაკენ, ამხანაგ სტალინისაკენ. ხალხის მილიონობით თვალში წაიკითხავენ ისინი ერთგულებასა და სიყვარულს, მზადყოფნას თავგაწირვით იბრძოლონ სოციალიზმის იმ დიადი საქმისათვის, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი გულის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, შესწირა ძვირფასმა, საყვარელმა სერგომ. მისი შეცვლა შეუძლებელია. ისეთი, როგორც სერგო, — მხოლოდ ის იყო.

მაგრამ დანაკლისებზე ბოლშევიკები სწავლობენ თავიანთი ძალღონის გათკეცებას. ერთი წუთითაც არ შედრკება ის დროშა, რომელიც ხელთ ეპყრა სერგოს.

სერგოს სახელი, მისი ხსოვნა, მთელი მისი სახელოვანი სიცოცხლე საუკუნოებით გაუშუქებს გზას კომუნიზმის მშენებელთა თაობებს. იგი იყო ისეთი ადამიანის ნიმუში, რომლისთვისაც კომუნიზმი შენდება და ისეთი ადამიანის ნიმუში, რომელიც კომუნიზმს აშენებს: რაინდი ამ სიტყვის საუკეთესო, კეთილშობილი მნიშვნელობით, კაცობრიობის უშიშარი დამცველი, გმირი, რომელშიაც გაბედულება და თავდაბლობა, სიმამაცე და უბრალოება ნამდვილ სილამაზეს ჰქმნიდნენ.

„პრავდის“ სარედაქციო სტატია, 19/II

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც პარტიამ, ჩვენმა ქვეყანამ და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა განიცადეს დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლისა და მეგობრის, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის—ამხანაგ გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის გარდაცვალებით.

ჩვენი პარტიის გამოჩენილმა მოღვაწემ, მგზნებარე, უშიშარმა ბოლშევიკმა, ლენინურ-სტალინური პარტიის ერთიანობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საყვარელმა ადამიანმა, სოციალიზმის ინდუსტრიის ნიჭიერმა ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა ამხანაგმა სერგომ მთელი თავისი გმირული სიცოცხლე ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს შესწირა.

აზერბეიჯანის ბოლშევიკები და მშრომელები განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიან ძვირფასი სერგოს, აზერბეიჯანის, აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორისა და მშენებლის დაკარგვას.

ამხანაგ ორჯონიკიძის ნათელი სახე, მისი, როგორც შეუდრეკელი და უშიშარი, კრისტალურად სუფთა ბოლშევიკ-ლენინელის, ლენინ-სტალინის პარტიის დიდი საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის, ხსოვნა აღაფრთოვანებს ნავთის ბაქოსი და მთელი აზერბეიჯანის ბოლშევიკებს და ყველა მშრომელს ახალი საგმირო საქმისათვის, შემდგომი ბრძოლისათვის კომუნიზმის საბოლოო გასამარჯვებლად.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

◇ ◇ ◇

მშვიდობით, ამხანაგო და მეგობარო!

მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ქვეყანამ. აღარა გვყავს ჩვენი სერგო.

ცარიზმთან ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლებში, სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ცენტრალურ საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის სათავეში, მძიმე მრეწველობის არმიის სარდლად, — სერგო ორჯონიკიძე მუდამ იყო გამოჩენილი ხელმძღვანელი, გამარჯვებათა ორგანიზატორი, ლენინისა და სტალინის ბოლშევიკი მამდვილი ნამდვილი ბოლშეგიკი ბოლშაფე და თანაშემწე, — ისეთი ამხანაგი, რომელიც უყვარს ჩვენს პარტიას, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს.

პარტიის საქმისადმი — კომუნიზმის საქმისადმი, მისმა ერთგულებამ, მისმა პირდაპირობამ და უბრალოებამ, მისმა დაუღალავობამ მუშაობაში, მისმა დაუცხრომელმა ენერგიამ გახადეს იგი მაგალითი, ნიმუში, რომელსაც მიჰბაძავენ, რომლის მიხედვითაც ისწავლიან სოციალიზმის მშენებელთა მილიონები.

ძვირფასო სერგო! სოციალიზმის გამარჯვებებში, რომლებითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა, იმ გამარჯვებებში, რომლებსაც ჩვენ მომავალი ბრძოლები მოგვიტანენ — უდიდესი შენი როლი — მას არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი ქვეყანა.

მშვიდობით ჩვენო ამხანაგო და მეგობარო, ჩვენო საყვარელო სერგო!

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია:

ეჟოვი, იაკოვლევი, შკირიატოვი, იაროსლავსკი, აკულოვი, კუიბიშევი, პეტერსი, სახაროვა, სოროკინი, გროსმანი, სტავსკი, სალტანოვი, შაბუროვა.

◇ ◇ ◇

სომხეთის მშრომელნი ღრმად დამწუხრებული არიან ამხ. გ. კ. ორჯონიკიძის უდროოდ გარდაცვალების გამო

ერევანი, 19 თებერვალი (საქდესი). მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის, დიდად საყვარელი სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სომხეთს. ერევნის, ლენინაკანის მუშებმა, ზანგეზურის მაღაროელებმა, საბჭოთა სომხეთის კოლმეურნეებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ გამოუთქმელი გულისტკივილით შეიტყეს ძვირფასი ამხანაგის სერგო ორჯონიკიძის უდროო გარდაცვალების ამბავი.

სოციალიზმის საქმისათვის მგზნებარე, დაუღალავი მებრძოლის, დიდი სტალინის ერთერთი უახლოესი თანამებრძოლის და მეგობრის ამხანაგ სერგოს სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა სომხეთის წარმატებანი და გამარჯვებანი და ამიერ-კავკასიის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის განმტკიცება.

ამას ამბობდნენ მუშები, ინჟინრები, კოლმეურნეები, უმაღლეს საწავლებელთა მოსწავლენი მრავალრიცხოვან სამგლოვიარო კრებებზე, რომლებმაც მთელს რესპუბლიკაში ჩაიარა.

ერევნის პირველ ჰიდროელსადგურში შემდგარ სამგლოვიარო კრებაზე ძველი მუშები და ინჟინრები იხსენებდნენ ორჯონიკიძის მგზნებარე სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა 1926 წელს სომხეთის პირველი ჰიდროელსადგურის გახსნისას.

უსაზღვრო მწუხარების გრძნობით ლაპარაკობდნენ გამოსული ამხანაგები აუნაზღაურებელ დანაკლისზე, რომელიც პარტიამ და მთელმა ჩვენმა ქვეყანამ განიცადეს. ღრმად დამწუხრებულია სომხეთის მთელი საზოგადოებრიობა.

სინთეტიკური კაუჩუკის კიროვის სახელობის კომბინატის სამათასიანი კოლექტივის საამქროებსა და ცვლებში მოეწყო სამგლოვიარო კრებები. სინთეტიკური კაუჩუკის ერევნის კომბინატი, — ამბობდნენ მუშები, — იყო ძვირფასი ამხანაგ ორჯონიკიძის ყოველდღიური ზრუნვისა და სიყვარულის საგანი. აქ, ძეფის ოდესლაც ჩამორჩენილ კოლონიაში, ამხანაგ ორჯონიკიძის საბრძოლო ხელმძღვანელობით ერევნის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები წარმატებით აიღებდნენ ბრძოლას მძიმე მრეწველობის შესაქმნელად.

სამგლოვიარო კრებები იმართება არარატის ორჯონიკიძის სახელობის ცემენტის ქარხანაში, ყამარლუს ვაგარშაფატის, ლენინაკანის კოლმეურნეობებში, სომხეთის ყველა რაიონში.

ერევანი ძაძებშია. სახლებზე, ფაბრიკებზე, თეატრებზე გამოკიდულია თალხით შემოვლებული დროშები, დაუვიწყარი ამხ. ორჯონიკიძის პორტრეტები.

პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სამგლოვიარო კრებებზე აღნიშნავენ კრისტალურად სუფთა, უშიშარი რევოლუციონერის — ორჯონიკიძის ხსოვნას.

დღეს, 19 თებერვალს, ერევნის გაზეთები უშვებენ მისი ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომრებს. უდიდესმა დანაკლისმა ღრმად დაამწუხრა საბჭოთა სომხეთის ყველა მშრომელნი, რომელთაც არასოდეს არ დაავიწყდებათ იმისი მშობლიური სახე, ვინც უდიდესი ბოლშევიკური ლენინურ - სტალინური აღზნებით, როგორც საოქალაქო ომის წლებში, ისე შემდეგ, მეთაურობდა ამიერ-კავკასიისა და სომხეთის ყველა მოძმე ხალხთა გმირულ ბრძოლას დაშნაკების, მენშევიკების, მუსავატელებისა და მათი ნაბოლარების წინააღმდეგ და რომელმაც გაანადგურა ხალხის ეს დაუძინებელი მტრები; არ დაავიწყდებათ შესანიშნავი ბოლშევიკის, სოციალისტური ინდუსტრიის ბრწყინვალე გამარჯვებათა უდიდესი ხელმძღვანელის სახე. (საქდესი).



სახლი სოფ. ღორეშაში (ხარაგოულის რაიონი), სადაც 1886 წელს დაიბადა და ბავშვობა გაატარა ამხ. ს. ორჯონიკიძემ (სურათი გადაღებულია 1936 წელს).

„სოიუზფოტოს“ საქ. გამგ.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1937 წლის 18 თებერვალს საბრძოლო პოსტზე გარდაიცვალა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

ლენინ - სტალინის პარტიის ერთერთი მშენებელი, მისი ერთგული შვილი და მებრძოლი, პროლეტარული დიქტატურის უშიშარი დამცველი, სოციალისტური ინდუსტრიის ორი ხუთწლედის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, სტახანოველთა მგზნებარე ხელმძღვანელი და საუკეთესო მეგობარი, რომელმაც მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს შესწირა.

მძიმე მრეწველობის არმიისთვის მუდამ ცოცხალი იქნება სახე თავისი დაუვიწყარი მეგობრისა და ხელმძღვანელისა, იგი კიდევ უფრო შეამჭიდროვებს თავის რიგებს სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად დამწუხრებულია მძიმე დანაკლისის — საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის ცაკის წევრის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის

გარდაცვალების გამო.

სოციალისტური მძიმე მრეწველობის წარმატებათა უნიჭიერესი ორგანიზატორის, ლენინ - სტალინის საქმისათვის დაუღალავი და უშიშარი მებრძოლის, ამხ. ორჯონიკიძის ხსოვნა მუდამ აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის ხალხებს ჩვენი ქვეყნის შემდგომი გამარჯვებებისათვის.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი აუწყებს კვების მრეწველობის ყველა მუშაკს იმ მძიმე დანაკლისის, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს პარტიას, მუშათა კლასს და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს — სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის

უეცრად გარდაცვალებას.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი იცნობდა ამხანაგ **ორჯონიკიძეს** და უყვარდა იგი, როგორც მგზნებარე მებრძოლი ბოლშევიკთა პარტიისათვის არალეგალობაში, როგორც უშიშარი სამხედრო ხელმძღვანელი სამოქალაქო ომის ფრონტებზე, როგორც სოციალისტური მრეწველობის ნიჭიერი მშენებელი, როგორც ჩვენი პარტიის ერთერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, როგორც ლენინისა და სტალინის თანამებრძოლი.

ამხანაგ **ორჯონიკიძის** ნათელი სახე ყველა მშრომელს აღაფრთოვანებს თავდადებული ბრძოლისათვის კომუნიზმის სრულ გასამარჯვებლად.

საბჭოთა კონტროლის კომისია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად გლოვობს კომუნიზმის საქმისათვის იშვიათი მებრძოლის ამხანაგ

სერგო ორჯონიკიძის

უდროოდ დაკარგვას.

ამ საუცხოო ბოლშევიკის მთელი სიცოცხლე წარმოადგენს წიმუშს განსაკუთრებული ბრძოლისა მუშათა კლასის საქმისათვის, ყველა მშრომელის საქმისათვის, განსაკუთრებული სიმტკიცის ნიმუშს ჩვენი პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის გენერალური ბაზის გატარებაში.

ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე იყო წევრი სტალინური შტაბისა, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს მსოფლიო კაპიტალიზმისა და ჩვენს ქვეყანაში მისი აგენტების და ყველა ჯურის ნაბოლარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კონტროლის კომისია თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ამხანაგ სტალინს, რომლის პირადი ახლობელი მეგობარი იყო ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე.

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური **საბჭოს** პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მგზნებარე ბოლშევიკი, მუშათა კლასის საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლი, ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობარი და ერთგული თანამებრძოლი, საკავშირო კომუნისტური პარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი — ამხანაგი

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ღრმესი მწუხარებით იუწყება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. პოლიტბიუროს წევრის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის, ამხანაგ სტალინის **ერთგული** თანამებრძოლის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის ამხანაგ

სერგო ორჯონიკიძის

გარდაცვალებას.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს კომკავშირის ყველა წევრსა და ქალაქ თბილისის მთელ ახალგაზრდობას, რომ უეცრად გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუღალავი მებრძოლი.

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (სერგო) ორჯონიკიძე

ამხ. ორჯონიკიძის თავგანწირული ბრძოლა და გმირული სიცოცხლე, რომელიც შეეწირა ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს, ზრდის ქალაქ თბილისის მომავალ ახალგაზრდობას ლენინ-სტალინის პარტიისადმი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ორჯონიკიძის რაიონის ბოლშევიკები, მუშები და კოლმეურნეები უსაზღვრო მწუხარებას გამოვიქვამთ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილის, თავდადებული მებრძოლის, ყველა მშრომელთათვის საყვარელი ამხანაგის

სერგო ორჯონიკიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ამხანაგ სერგოს სახით ჩვენმა პარტიამ, მუშათა კლასმა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა დაჰკარგეს მტკიცე ბოლშევიკი, მგზნებარე რევოლუციონერი და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი.

ამიერ-კავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ა.-კ. რკინიგზების ყველა მუშა-მოსამსახურეთ, ინჟინრებს და ტექნიკოსებს მუშათა კლასის და მშრომელთა მასების გამოჩენილი ხელმძღვანელის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის უდიდესი ხელმძღვანელის, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ

გრიგოლ კონსტანტინეს ძე (სერგო) ორჯონიკიძის

მოულოდნელ გარდაცვალებას 18 თებერვალს 1937 წ. ქ. მოსკოვში.

საქართველოს კ.პ. (ბ) ჯუფელის რაიკომი და რაიაღმასკომი ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ლენინური გვარდიის უძველესი წევრის, დიდი ლენინისა და სტალინის უერთგულესი თანამებრძოლის,

ამხ. სერგო ორჯონიკიძის

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი სერგო კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე

დედაქალაქი ღრმად გლოვობს

მოსკოვი, 19 თებერვალი. (საქ-დესი).დილით ადრე რადიომ დიდი საბჭოთა მიწა-წყლის ყველა კუთხეს მოსდო იმ წარუშლელი მძიმე დანაკლისის სამწუხარო ამბავი, რომელიც მშრომელმა კაცობრიობამ განიცადა.

ღრმა მგლოვიარეობით შეხვდა დედაქალაქი ამ, მილიონების მწუხარებით მოცულ, დილას. საცხოვრებელ სახლებზე, დაწესებულებებზე, სკოლებზე, ქარხნებზე, ფაბრიკებზე სამგლოვიარო დროშები ირხევიან. მაღაზიათა ვიტრინებში გამოფენილია გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის პორტრეტები, სამგლოვიარო ლენტებით გარშემოვლებული. ხალხი ჩერდება ვიტრინებთან. სიყვარულითა და დამწუხრებით უყურებს ამ მახლობელ, მშობლიურ სახეს ჭკვიანი და მოღიმარი თვალებით, იმ კაცის პორტრეტს, რომელიც იყო ხალხის საყვარელი ადამიანი, ლენინისა და სტალინის ერთგული და თავდადებული მოწაფე.

გლოვობენ მძიმე მრეწველობის საწარმონი, ქარხანა - გიგანტები სტალინური ხუთწლედებით ნაშობნი. მათ მძლავრ განვითარებას მუდამ-დღე თვალყურს ადევნებდა სოციალისტური ინდუსტრიის არმიის სარდალი. საქარხნო რადიორუპორებს შორის მიაქვთ სამგლოვიარო მელოდიები.

კულტურის პროლეტარული სასახლის კედელზე გამოკიდული პლაკატი მწუხარებით გვამცნობს: „გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის გარდაცვალების გამო საექტაკლები გადადებულია“.

„ამხანაგი სერგო“,—ასე ინტიმურად და სიყვარულით ეძახდნენ მას ადამიანთა მილიონები ჩვენს ქვეყანაში, რომლის ბედნიერებასა და აყვავებას მან შესწირა მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე. ეს სახელი, საყოველთაო-სახალხო სიყვარულის შარავანდედით მოსილი, მრავალგზის მეორდება პლაკატებზე, ტრანსპარანტებზე, რომლებითაც მიიმართებიან მშრომელთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები დედაქალაქის ცენტრისაკენ.

მუშათა კოლონის დიდ პლაკატზე არის წარწერა—„**შენი ხსოვნა, ამხანაგო სერგო, იცოცხლებს საუკუნეებში**“.

კავშირთა სახლის ნაცნობი შენობა. მის ფრონტონზე გამოკიდებულია გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის უზარმაზარი პორტრეტი, ფართო სამგლოვიარო ლენტით გარშემოვლებული. პორტრეტის ქვემოთ თარიღია:

1886 — 1937

დედაქალაქის ყოველი კუთხიდან, ყველა რაიონიდან კავშირთა სახლისაკენ მიედინება ადამიანთა ნაკადი. ხალხი ათეული ათასობით მიეშურება სვეტებიანი დარბაზისაკენ, სადაც ასვენია დიდი ბოლშევიკის, ხალხის მგზნებარე მეგობრის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ხელმძღვანელის ცხედარი.

დღის 12 საათზე იხსნება სვეტებიანი დარბაზის კარები, და ამ მომენტიდან ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ მოედინება. უახლოესი ქუჩები და შესახვევები სულ უფროდაუფრო ივსება ხალხით. ასობით მანქანებს ქალაქის ცენტრისაკენ მოჰყავთ მუშები და მოსამსახურენი, რომელთაც დაუმთავრებიათ მუშაობა დღის ცვლაში, რომელნიც ისწრაფვიან უკანასკნელი პატივი სცეხ, საძუდამოდ გამოემშვიდობონ ამხანაგ სერგოს, რომლის მგზნებარე გულმა ასე უეცრად შესწყვიტა ძგერა.

სამგლოვიარო მდუმარებით მოცულნი მიდიან წითელარმიელთა, მფრინავთა კოლონები, რომელთათვისაც ამხანაგ სერგოს მიერ ნაწრთობი სოციალისტური ინდუსტრია იძლევა საუცხოო მანქანებს—თავდაცვის მრისხანე იარაღებს.

საღამოსათვის ხალხის ტალღა ავსებს გორკის, პუშკინის ქუჩებს, ოხოტნი რიადს, მანეჟის ქუჩას, სვერდლოვის მოედანს.

დედაქალაქი თავის ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ათასობით მიტინგებზე ქარხნებში, ფაბრიკებში, წითელარმიელთა ნაწილებში, დაწესებულებებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი სტალინის სახელობის ორთქლმავალ - მაგონების შემკეთებელ ქარხნის სამგზავრო მაგონების საამქროში. ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

გ ა ვ ო თ ხ ო ვ ე ბ ა...

დიდი პროლეტარული რევოლუციონერის კუბოსთან

მოსკოვი, 19 თებერვალი. (საქ-დესი). მგზნებარე ბოლშევიკ-ლენინელის გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის უდროოდ გარდაცვალების უსაზღვროდ სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს საბჭოთა მიწა-წყალს. მწვავე ძმაფრმა ტკივილმა მოიცვა სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა მილიონების გული, რომელთაც დაჰკარგეს ერთერთი თავისი გამოჩენილი შვილი. დედაქალაქს ღრმა მგლოვიარეობაში გამოეღვიძა. 19 თებერვალს დილიდანვე კავშირთა სახლისაკენ, სადაც ასვენია მძიმე ინდუსტრიის არმიის გარდაცვლილ სარდლის ცხედარი, ხალხი ათეული ათასობით დაიძრა. და როდესაც გაიხსნა შენობის განიერი კარები, დაიწყო განუწყვეტელი მსვლელობა სვეტებიან დარბაზში.

მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურენი, დიასახლისები, სტუდენტები, მოწაფეები ჩაუვლიან მაღალ პოსტამენტს, რომელზედაც დადგმულია კუბო სერგო ორჯონიკიძის ცხედრით. დიად და ღრმა მდუმარებაში ნელნელა მიედინება ადამიანთა ნაკადი. ისინი თვალმოუშორებლივ უყურებენ პოსტამენტს და ცდილობენ სამუდამოდ აღბეჭდონ ხსოვნაში მახლობელი და მშვენიერი არწივისებური სახე შესანიშნავი ბოლშევიკისა, რომელსაც მშრომელთა მილიონები ალერსით „სერგოს“ უწოდებდნენ.

○

პოსტამენტს შემოვლებული აქვს აუარებელი ყოცახალი ყვავილები. თავთან დახრილან დროშები, ჩაქინდრულან მწვანე პალმები. თალხი ქსოვილებით შემოვლებული ჭაღები ბინდსა ჰქმნიან დარბაზში, რომლის მყუდროებაშიც სევდიანად იფრქვევა სამგლოვიარო მარშის ხმები.

კუბოსთან თავდახრილი, ემშვიდობება განსვენებულს მისი ერთგული მებრძოლი მეგობარი ზინაიდა გაბრიელის-ასული. აქვე არიან უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლნი. მათ შორის — ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი, აკულოვი, სტეცკი, იაკოვლევი, ხრუშჩოვი, რუხიმოვიჩი, მ. მ. კაგანოვიჩი და სხვები. დიდხანს დგანან ისინი სევდითმოცულ კვარცხლბეკთან და ემშვიდობებიან უსაზღვროდ ძვირფასსა და დაუვიწყარს...

იცვლება საპატიო ყარაული. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პარტიული კონტროლის კომისიის საბჭოთა კონტროლის კომისიის, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სხვა სახალხო კომისარიატებისა, მოსკოვის რაიონის მუშაკები, სამეურნეო მუშაკები, წითელი არმიის მუშაკები უკანასკნელ პატივს ცემენ გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძეს. საპატიო საგუშაგოზე დგანან ამხ. მირზოიანი, ისაევი, მუკლევიჩი, კრესტინსკი, კარახანი, ლოზოვსკი, ე. დ. ვოროშილოვა, ერემინი, ლიუბიმოვი, კნორინი, ბაუმანი და მრავალი სხვა.

ერთი წუთითაც არ სწყდება მშრომელთა ტალღის ნაკადი, რომელთაც სურთ უკანასკნელი „მშვიდობით“ უთხრან მშობლიურ სერგოს. მძიმე დანაკლისით გამოწვეული აუწერელი მწუხარება მოაქვთ სვეტებიან დარბაზში დედაქალაქის ინდუსტრიულ გიგანტთა მრავალრიცხოვან დელეგაციებს. დილით ქარხნებსა და ფაბრიკებში მოიწყო სამგლოვიარო მიტინგები მუშებისა, რომელთაც კავშირთა სახლში თავისი ამხანაგები გამოგზავნეს. ისინი მოვიდნენ დაზგებიდან, კონვეიერებიდან, მანქანებიდან, საწარმოებიდან, რომლებიც შექმნილია სერგოს რკინის ნებისყოფითა და დაუცხრომელი ენერგიით ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის თანახმად. ისინი მოვიდნენ, რათა გამოხატონ საბჭოთა ხალხის უდიდესი გულისტკივილი. გამოემშვიდობონ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს, მგზნებარე ტრიბუნს, მძლავრი სტახანოვური მოძრაობის სულისჩამდგმელს, ბოლშევიკური პარტიის უდიდეს ორგანიზატორს, რომელმაც მთელი თავისი ნათელი, საუცხოო სიცოცხლე უკლებლივ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, შესწირა მუშათა კლასის საქმეს. მისი პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს.

○

აი დარბაზში შემოდის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისარების ქარხნის დელეგაცია. ამ ქარხნის, როგორც ასობით სხვა საწარმოთა მშენებლობასა და ზრდას, მამამბრივი უურადღებით ყოველდღე თვალყურს ადევნებდა მძიმე ინდუსტრიის არმიის სარდალი. დელეგატები გვირგვინს მოწოწებით სდებენ კუბოსთან. აი მეორე დიდი გვირგვინი—შავი მეტალურგიის მუშაკებისაგან.

საპატიო ყარაულის ახალ ცვლაში დგებიან ამხ. ბუდიონი, ელიავა, შვერნიკი, უნშლიხტი, არმიის მე-2 რანგის მეთაური ალკსნისი, სედიაკინი, ხალეპსკი, კორპუსის მეთაური ტოდორსკი, არმიის მე-2 რანგის კომისარი არონშტამი, ამხ. ბუბნოვი, ბერია, მუსაბეკოვი, ბაგიროვი. უხმაუროდ იცვლება სამხედრო ყარაული. პროლეტარული დივიზიის მეომრები პატივს სცემენ იმის ხსოვნას, ვინც დიდი ძალა და ღონე მოახმარა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას, ვინც მუშურ-გლეხური წითელი არმია უზრუნველჰყო თავდაცვის ძლიერი საშუალებებით. და მაგრად ჰკიდებენ რა ხელს შაშხანას, მებრძოლნი მგზნებარე ბოლშევიკის კუბოს წინაშე ფიცს სდებენ, რომ შეუპოვრად დაიცავენ სოციალიზმის დიად მონაპოვრებს.

ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე საათი... სამგლოვიარო პროცესია გრძელდება. ახალი და ახალი ათასობით ადამიანები მოედინებიან სვეტებიან დარბაზში და ეთხოვებიან სერგოს.

ნანდახან ისმის ქვითინი, ბევრს ჩუმი ცრემლი სდის.

შოპენის სამგლოვიარო მარშს, რომელსაც დიდი თეატრის ორკესტრი ასრულებს, სცვლის ბეთჰოვენის, ვაგნერის, ჩაიკოვსკის ნაღელიანი მელოდიები. ეს ჰანგები უფრო მწვავედ ხდის აუნაზღაურებელ დანაკლისს, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს პარტიას, ჩვენს ქვეყანას და კაცობრობის ყველა მშრომელს.

კუბოსთან კვლავ დგას სერგოს ერთგული მეგობარი და ამხანაგი — ზინაიდა გაბრიელის-ასული ორჯონიკიძე. თვალმოუშორებლად დასცქერის იგი საყვარელი ადამიანის ასე ახლობელ, მშობლიურ სახეს. იქვე მდგარ კალათიდან იგი იღებს ყვავილებს და სდებს კუბოში.

მაღალ ხელაწევით სალუტს აძლევენ პიონერები. ქუდმოხდილი მიედინება ხალხი. მოდიან დედები, რომლებსაც ხელში ბავშვები უჭირავთ, რომლებისთვისაც მგზნებარე ბოლშევიკის დაუვიწყარი სახე საუკეთესო მაგალითი იქნება.

საპატიო ვახტს ასრულებენ ამხ. სულიმოვი, ლებედი, ზემლიაჩკა, ტალი, ადორატსკი, ტუპოლევი, კორკი, ფ. კონი, კულკოვი, მარგოლინი, კორიტნი, ფილატოვი, კოროტჩენკოვი, ს. ი. შმიდტი, კიშინსკი, მწერლები—სტავსკი, კორნეიჩუკი, კირშონი, პროლეტარული დივიზიის მეთაური პეტროვსკი, მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენელნი.

დარბაზში სამგლოვიარო დროშებით შემოდიან ქარხანა „კაუჩუკის“ მუშები, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პროფესორები და აკადემიკოსები.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს ამხ. აკულოვს და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს მდივანს ამხ. ხაკაევს შემოაქვთ გვირგვინი. გვირგვინის ფართო ლენტზე სწერია:

— მგზნებარე ბოლშევიკს, სოციალისტური მრეწველობის უნიჭიერეს ორგანიზატორს ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან.

არცერთ წუთს არ სწყდება ხალხის დენა. აი წითელარმიელთა ჯგუფი. მათ აქვთ მეომართა მრისხანე გამოეტყველება; ისინი იარაღით ხელში მზად არიან დაიცვან ის საქმე, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ამხანაგმა ორჯონიკიძემ.

16 საათსა და 50 წუთზე დარბაზში შემოაქვთ და კუბოს ფეხთით სდებენ დიდ გვირგვინს. გვირგვინის წითელ ლენტზე სწერია:

— ჩვენი პარტიის უდიდეს მოღვაწეს, მგზნებარე, უშიშარ ბოლშევიკ-ლენინელს გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან.

16 საათსა და 55 წუთზე საპატიო ყარაულის მორიგ ცვლაში დგებიან ამხანაგები: **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი. კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი.**

უძრავად დგანან სერგოს ყველაზე ახლო მეგობრები. იგი მათთან ერთად იბრძოდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის, იგი მათთან ერთად დაუნდობლად ანადგურებდა ხალხის მტრებს.

გაიარა წუთმა წუთმა. ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი და ჩუბარი ჯგუფად უახლოვდებიან კუბოს. ისინი დაკვირვებით დასცქერიან დიდი ბოლშევიკის საყვარელ სახეს.

○

საპატიო ყარაულში დგანან ამხანაგები დიმიტროვი, მანუილსკი, პიატნიცკი. მათ სცვლიან ლიტვინოვი, სტომონიაკოვი, მ. მ. კაგანოვიჩი, აგრანოვი, კრილენკო.

საღამოს 6 საათი. ბინდი მოიცავს ქუჩებს. აქ, კავშირთა სახლისაკენ ყველა განაპირა კუთხიდან, დილის ცვლაში მუშაობის დამთავრების შემდეგ, მოდიან მუშათა და მოსამსახურეთა სულ ახალი და ახალი კოლონები. აი კუბოსთან გაიარეს სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, „სერპ ი მოლოტის“, ამწევ ნაგებობათა ქარხნის, ს. მ. კიროვის სახ. საათების 1-ლი სახელმწიფო ქარხნის, ნოგინის სახ. ფაბრიკის, მენჟინსკის სახ. № 39 ქარხნის, მოსკოვიევის რკინიგზის მოსკოვის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, სახალხო კომისარიატების თანამშრომლებმა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, წითელარმიელებმა, წითელფლოტელებმა, მხატვრებმა, მწერლებმა, არტისტებმა.

საპატიო ყარაულში დგანან ამხანაგები ედანოვი, ეფოვი, შეფლაუკი, ანტიპოვი, ხრუშჩოვი, გამარნიკი, სულიმოვი, კოსარევი, ბაუმანი. მათ სცვლიან წითელი არმიის მეთაურები, აკადემიკოსები, სტახანოველები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ჩვენი დიადი სამშობლოს საუკეთესო შვილები უკანასკნელ ვალს იხდიან იმის წინაშე, ვინც მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე ლენინ-სტალინის საქმეს შესწირა. საპატიო ყარაულში არიან სერგოს ძველი მეგობრები და თანამებრძოლები, რომლებთან ერთად არალეგალობის მკაცრ დღეებში იგი ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ ამჭიდროვებდა ბათომის, გუდაუთის, ბაქოს, თბილისის მუშებს. მიცვალებულის თავთან დგანან ძველი ამხანაგები, რომლებიც სამოქალაქო ომის ფრონტზე იბრძოდნენ მასთან ერთად. აქ გვერდით არიან ისინიც, რომლებთან ერთად იგი ურთულეს პირობებში აწყობდა საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში, მუშაობდა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად, აშენებდა სოციალისტურ ინდუსტრიას.

6 საათი და 20 წუთი. გარღაცლილ მეგობრისა და თანამებრძოლის თავთან კვლავ დგებიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი. ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი.**

ისინი დგანან, ხალხის მჭიდრო მოძრავი რკალით გარშემორტყმულნი.

უთხრეს რა უკანასკნელი „მშვიდობით“ საყვარელ სერგოს, მშრომელებმა თვალი მიაპყრეს ხალხთა დიდ ბელადს—ამხანაგ **სტალინს.** მისი სახე, უძლეველი ვაჟკაცობისა და ძალის გამომხატველი, ყოველი მშრომელის გულს აღავსებს ურყევი რწმენით, აღაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეების შესასრულებლად კომუნიზმის გამარჯვებისათვის შემდგომ ბრძოლაში.

იცვლება საპატიო ყარაული. მიცვალებულის თავთან დგებიან ქარხნების დირექტორები, სამხედრო აკადემიკოსები, მოსკოვის საბჭოს, გზათა სახალხო კომისარიატის, მხატვართა კავშირისა და სხვა დელეგაციები. კუბოსთან მიდიან და გარინდებული დგებიან ამხანაგები პოსტაშევი და პეტროვსკი. სერგოს ნათესავებისა და ახლობელი მეგობრების წრეში არის ამხ. კრუპსკაია.

○

უკვე კარგად დაღამდა. მშრომელთა კოლონები მაინც განუწყვეტლივ მოდიან. უსიტყვოდ ეთხოვებიან ისინი საყვარელ სერგოს.

21 საათსა და 05 წუთზე დარბაზში შემოაქვთ გვირგვინი, რომელზედაც ასეთი წარწერაა:

— კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლს. სოციალისტური ინდუსტრიის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. სერგო ორჯონიკიძეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან.

21 საათსა და 15 წუთზე საპატიო ყარაულის ახალ ცვლაში დგებიან ამხანაგები პოსტაშევი, გამარნიკი, ბუდიონი, იაკირი, ხრუშჩოვი, ანტიპოვი, შვერნიკი, გიკალო.

კუბოსთან გაიარეს სამხედრო აკადემიათა მსმენელები, მუშები, მუშა-ქალები, მეცნიერები, მოსამსახურეები და მრავალი ბავშვი.

საღამოს განმავლობაში საპატიო ყარაულში იდგნენ ამხანაგები: ეიხე, აკულოვი, ევდოკიმოვი, შკირიატოვი, რუხენგოლეცი, დავთიანი, რაზუმოვი, მწერალი სობოლევი, სარქისოვი, შმიაცკი, სუდიინი, კლეინერი, იტრამოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ჩკალოვი, კალმანოვიჩი.

სულ ახალი და ახალი გვირგვინები შემოაქვთ დარბაზში. მათ შორის არის გვირგვინები ამხ. კაგანოვიჩის ოჯახისაგან, ამხ. ვოროშილოვისა, ამხ. მიქოიანისა, საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოსაგან, ამხ. ბერიას, მუსაბეკოვისა, ბაგიროვისა და ამატუნისაგან. სულ ღამის 11 საათისათვის კუბოსთან და დარბაზის კედლების გასწვრივ 120-ზე მეტი გვირგვინი იყო.

საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლებში იდგნენ ამხ. გ. ი. პეტროვსკი, სულიმოვი, ხრუშჩოვი, შეფლაკი, მეხლისი, ევდოკიმოვი, ვ. ი. მეჟლაუკი, ეიხე, ეიდემანი, დემიანბედნი და სხვ.

0 საათსა და 30 წუთზე ცხედართან მისვლა სწყდება ღილამდე.

გუშინ სვეტებიან დარბაზში სერგო ორჯონიკიძის კუბოსთან გაიარა 250 ათასამდე კაცმა.

საქართველოს მშრომელთა გლოვა

თ ბ ი ლ ი ს ში

ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის უზარმაზარი კორპუსები ძაძაში გახვეულა. თვითეულ საამქროში ძველი მუშების ხელით აღმართულია მძიმე მრეწველობის რკინის სახალხო კომისრის, საყვარელი ამხანაგის სერგო ორჯონიკიძის ვეებერთელა პორტრეტები, ყვავილებითა და ფალხი ქოვილით გარშემოვლებული.

ნაშუადღევის 5 საათზე, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ყველა მუშა და მუშა-ქალი შეიკრიბა კლუბში.

იხსნება კრება, მიძღვნილი უდრეკი ბოლშევიკის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლისა და მეგობრის — სერგო ორჯონიკიძის ნათელი ხსოვნისადმი.

მყუდროებას არღვევს შოპენის მარში, ყველანი ფეხზე დგებიან. ქარხნის ძველ ბოლშევიკებს თავისი ჭაღარა თავი დაბლა დაუხრიათ.

დიდია დანაკლისი, თვითეულის წინაშე ცოცხლდება სახე შესანიშნავი ადამიანისა, რკინისებური სტალინური კოჰორტის ერთერთი საუკეთესო ადამიანისა.

მოკლე ინფორმაციით ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოდის ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. დანელია.

ჩვენი ქარხნის ცხოვრება, — ამბობს ძველი მუშა-ბოლშევიკი ამხ. სუმბათ ამირჯანოვი, რომელიც ამ ქარხანაში 22 წელიწადია მუშაობს, — განუყოფელად არის დაკავშირებული საყვარელი სერგოს სახელთან.

მახსენდება 1922 წელი. მენშევიკების მიერ სანახევროდ დანგრეული ჩვენი ქარხანა დახმარებას საჭიროებდა. საჭირო იყო მისი აღდგენა, მისი მოძარაგება აუცილებელი მასალებითა და მოწყობილობით. ძველი მუშების ჯგუფი, მე, მ. ბალდასაროვი, თამაზოვი, ტ. ბაღდასაროვი, წაეყენით ამხანაგ ორჯონიკიძესთან, მან მიგვიღო, მზრუნველობით გამოგვკითხა საქმის ვითარება, აღგვითქვა დახმარება. თავისი დაპირება მან შეასრულა. ორი დღის შემდეგ მოვიდა ჩვენთან ქარხანაში, გაეცნო მდგომარეობას, ესაუბრა მუშებს. მოკლე ხანში ჩვენი ქარხანა ისე გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობდი. ქარხანამ იწყო ზრდა. ამის შემდეგ სერგო ჩვენი ხშირი სტუმარი იყო.

ერთერთი სტუმრობის დროს მან მონაწილეობა მიიღო ჩვენი მუშების ექვსი შვილის ოქტომბრულაში.

1930 წელს ჩვენს ქარხანას მიეკუთვნა ამხანაგ სერგოს სახელი. ამხანაგი ორჯონიკიძე ყოველთვის ეხმარებოდა ჩვენს ქარხანას. 1933 წელს ჩვენ გვჭირდებოდა ავტოტრანსპორტი. გადავწყვიტეთ მიგვემართა ამხანაგ სერგოსათვის. ჩვენ არ შევმცდარვართ. მან დახმარების ხელი გაგვიწოდა, ქარხანამ მიიღო ავტომანქანები.

ამხანაგ ს. ორჯონიკიძესთან შეხვედრათა შესახებ თავისი მოგონებანი შეკრებილთ გაუზიარეს მუშებმა თამაზოვმა, პანოვმა, ბაღდასაროვმა და სხვ. (საქდესი).

თ ბ ი ლ ი ს ის უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ს ი

ორმა მწუხარების გრძნობით მოისმენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა დიდი სტალინის თანამებრძოლისა და ახლობელი მეგობრის, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრის, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალების ამბავი. სამგლოვიარო მიტინგები შესდგა უნივერსიტეტის დიდ კლუბში და ორ აუდიტორიაში.

ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელისათვის, — ამბობს უნივერსიტეტის რექტორი ამხ. კ. ორაგველიძე. ამხანაგმა სერგომ მთელი თავისი ელვარე სიცოცხლე შესწირა სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

ტრიბუნაზეა ჭაღარამოსილი პროფესორი კ. კეკელიძე. ღრმა მწუხარებითაა გამსჭვალული მისი სიტყვა. მგზნებარე ბოლშევიკმა სერგო ორჯონიკიძემ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე წარუხოცელი კვალი დასტოვა. თავისი მჩქეფარე ენერგიით ჩვენი მძიმე მრეწველობა გადააქცია სოციალიზმის მძლავრ დასაყრდენად. ჩვენმა მძიმე მრეწველობამ მთელ რიგ დარგებში ბევრი მხრივ უკვე გაუსწრო კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას.

1924 წელს ამხ. სერგომ, მოსკოვს გამგზავრებას წინ, შეგვკრიბა ჩვენ პროფესორები, — იხსენებს პროფ. კ. კეკელიძე. — და გამოგვკითხა უნივერსიტეტის საჭიროებანი. გულთბილად, მშობლიურად გვესაუბრებოდა იგი ჩვენ.

ჩვენთვის, მეცნიერ მუშაკთათვის, სტუდენტობისათვის ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ამხანაგი ორჯონიკიძე აღარ არის, — ამბობს ერევნის უნივერსიტეტის პროორექტორი ამხ. მარკოსიანი, რომელიც ჩამოსულია თბილისში იმის შესამოწმებლად თუ როგორ სრულდება ერევნისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულება. — იგი თვით სიცოცხლე იყო, მგზნებარე მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის!.

როდესაც ლაპარაკობ სერგო ორჯონიკიძეზე, ამ მომხიბლავ ადამიანზე, — სთქვა პროფ. ვ. ახვლედიანმა, — უნებლიედ გახსენდება სიყვარულით აღსავსე ლექსი სულეიმან სტალსკისა მის შესახებ.

გრძნობებს, აზრებს, სიტყვებს არ შეუძლიათ გამოხატონ მთელი ის მწუხარება, რომელმაც ჩვენ ყველანი მოგვიცვა, — ამბობს პროფ. შ. ნუციფორიძე. გარდაიცვალა უდიდესი მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე. არავის, ვინც კი ჩვენს სერგოს იცნობდა, არასოდეს არ დაავიწყდებ მისი მგზნებარე გული. (საქდესი).

სერგოს ერთსოფლელები გლოვობენ დიდ დანაკლისს

სოფელი ღორეშა, 19 თებერვალი. (საქდესი). რადიომ და ტელეფონმა შემაძრწუნებელი ამბავი მოიტანა ღორეშაში — სერგო ორჯონიკიძის სამშობლო სოფელში, სადაც იგი დაიბადა და გაატარა თავისი ბავშვობის წლები.

სულ ცოტა ხნის წინათ ყოფილი ბარაგოულის, ამჟამად ორჯონიკიძის რაიონის ამ მთიანი სოფლის მცხოვრებლებმა გადაიხადეს ძვირფასი ერთსოფლელის 50 წლისთავი. მით უფრო მოულოდნელი იყო ახლა, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის რაღაც ოთხი თვის შემდეგ, სერგოს გარდაცვალების ამბავი. ყველანი გამოუთქმელი მწუხარებით განიცდიან ამ უდიდეს დანაკლისს.

სოფელი ღრმა ძაძით შეიმოსა. წითელ დროშებსა და სერგოს პორტრეტებს შავი ლენტები შემოჭრილებიათ.

წყნარად, დუმილით იკრიბებიან ორჯონიკიძისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა კოლმეურნენი სამგლოვიარო მიტინგზე.

იწყება მიტინგი. პირველი სიტყვებისთანავე, როდისაც ახსენებენ უდროოდ გარდაცვლილ გრიგოლ კონსტანტინეს-ძის სახელს მრავალი დამსწრე, მისი ახლობელი პირნი, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები, მწუხარებით თავზარდაცემულნი, ცრემლს ვერ იკავებენ...

ერთი მეორეზე იღებენ სიტყვებს მისი ერთსოფლელნი, კოლმეურნეები ამხ. კურტანიძე, მაჭავარიანი და სხვანი. მათი სიტყვები მწუხარებით აღსავსეა. ისინი იხსენებენ მედგარ ბოლშევიკ-ლენინელს, ლენინისა და სტალინის სახელოვან თანამებრძოლს, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიულ სერგოს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნენი საჯაროდ იძლევიან სიტყვას, რომ ისინი ოირსეულად ატარებენ მის სახელს. ტრიბუნაზე ადიან— სოფლის მასწავლებელნი ამხ. რამიშვილი და გონგაძე. ისინი პირობას იძლევიან, რომ ახალ თაობას აღზრდიან დიადი სტალინური ეპოქის სულისკვეთებით, რომ ყოველნაირად დაეხმარებიან საბჭოთა ქვეყანას კვალიფიციურ, მცოდნე, გამოცდილ მუშაკთა ახალი კადრების შექმნაში.

მიტინგი დამთავრებულია. სერგოს ერთსოფლელნი შლებიან და მიდიან შინ მტკიცე რწმენით, რომ ის საქმე, რომლისათვის სერგო ორჯონიკიძე იბრძოდა, საბოლოოდ გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.



მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

ბილბაო, 19 თებერვალი (საქდესი). ბისკაის ფრონტზე, ეიბარის სექტორში, რესპუბლიკელთა ჯარებმა მოსპეს მეამბოხეთა რაზმები, რომელთაც ონდა შეეცვალათ მთებში, არატის მაღლობზე მყოფი ჯარისკაცები.

არაგონის ფრონტზე

ბარსელონა, 19 თებერვალი (საქდესი). არაგონის ფრონტზე მეამბოხეებმა მიიტანეს ძლიერი იერიშები, უმთავრესად, ფრონტის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ უბნებზე, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. მათ მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ.

რესპუბლიკელთა წარმატებანი ცენტრალურ ფრონტზე

მადრიდი, 19 თებერვალი (საქდესი). ცენტრალურ ფრონტზე, მდინარე ხარამის რაიონში, მეამბოხეთა ძლიერი კონტრშეტევა მარანიოსის უბანზე მოიგერიეს რესპუბლიკელებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს და გააუმჯობესეს წინადღით დაკავებული პოზიციები.

მორატა დე ტაჰუნიას უბანზე რესპუბლიკის ჯარებმა ბრძოლების შედეგად, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, დაიკავეს მეამბოხეთა მოწინავე პოზიციები.

რესპუბლიკელთა ავიაციამ გააჩაღა აქტიური მოქმედება; იგი ენერგიულად დაედევნა მოწინააღმდეგის ყუმბარმტყორცნებს. რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს მეამბოხეთა 7 თვითმფრინავი.

მეამბოხეთა სიმაგრეები საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის გასწვრივ

პარიზი, 19 თებერვალი (საქდესი). „ლუმანიტე“ ბაიონიდან იუწყება, რომ ესპანეთის გვიპუსკოას პროვინციიდან გამოქცეულ პირთა განცხადებით, მეამბოხენი გერმანელი ინჟინრების ხელმძღვანელობით განაგრძობენ სიმაგრეებისა და ტრანშეების აგებას ესპანეთ-საფრანგეთის მთელი საზღვრის გასწვრივ. სან მარსიალის მაღლობზე, ირუნას მახლობლად, დადგმულია მძიმე ქვეშეხები. ბევრი გლეხი დააპატიმრეს იმის გამო, რომ მათ უარი სთქვეს საფორტიფიკაციო მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

საფრანგეთის მოქალაქეებს აკრძალული აქვთ სამხედრო სამსახურში შესვლა ესპანეთში

პარიზი, 18 თებერვალი (საქდესი). მინისტრთა საბჭომ მიიწონა ლონინძიებანი ლონდონის შეთანხმების განსახორციელებლად. ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია: „ეს ლონინძიებანი ფთვალისწინებენ იმ სახელმწიფოს ურთიერთმოქმედებას, რომლებიც ლონდონის შეთანხმებას შეუერთდნენ“.

სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეებს უკრძალავს სამხედრო სამსახურში შესვლას ესპანეთში ან ესპანეთის მაროკოში, აგრეთვე სამხედრო სამსახურისათვის პირთა შეგროვებას ან ამისათვის ხელის შეწყობას. შემგროვებელი ბიუროები უნდა დაიხუროს. როგორც ფრანგებს, ისე უცხოელებსაც აკრძალული აქვთ გადმეხვიდნენ ესპანეთში ან ესპანეთის სამფლობელო ადგილებში, მათ შორის მაროკოში, ესპანეთის არმიებში ჩაწერის მიზნით. აკრძალულია აგრეთვე ამ მიზნით საფრანგეთით მეზავრობა. ესპანეთის საზღვრების მიმართულებით სამგზავრო ბილეთების გაცემა აკრძალულია სპეციალური ნებართვის გარეშე თვითეულ ცალკე შემთხვევაში. აკრძალულია აგრეთვე პირნინის მთებზე გადაფრენა.

მთავრობის ჯარების ძლევამოსილი შეტევა მდინარე ხარამის რაიონში

ბარსელონა, 19 თებერვალი (საქდესი). გენერალმა მიახამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რესპუბლიკის ჯარების შეტევამ მდინარე ხარამის რაიონში, მიუხედავად მტრის წინააღმდეგობისა, ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. მიახამ განაცხადა, რომ მეამბოხეებს ერთხელაც არ გადაუვლიათ ვალენსიის გზა.

ანდუხარის ბომბარდირება მეამბოხეთა მიერ

ვალენსია, 19 თებერვალი (საქდესი). გუშინ მეამბოხეთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ანდუხარს (კორდოვის ჩრდილო - აღმოსავლეთით). მოკლულია 25 და დაჭრილია 20 კაცი. მსხვერპლთა შორის მრავალია ქალი და ბავშვი. იპოვეს გვამები დედებისა, რომელთაც ბავშვები ხელთ უჭირავთ. დანგრეულია სახლები და ქოხმახები განაპირა რაიონებში.

ბომბარდირების შემდეგ, საღამოს, ფაშისტთა გენერალმა კეიპო დე ლიანომ სევილიის რადიოთი ცინიკურად გამოაცხადა: „ესეს არის გაგზავნე მცირე სიჩუქარი ჩემს მეგობრებს ანდუხარში“.

ფაშისტური გერმანიის აქტივობა ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთში

ლონდონი, 19 თებერვალი (საქდესი). როგორც „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი ეადმოგვცემს სენ-ჟან დე ლუსიდან (საფრანგეთის ტერიტორიაზე, საფრანგეთ-ესპანეთის საზღვართან), გერმანია უფრო და უფრო მეტ აქტივობას იჩენს ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთში.

გერმანიის სამხედრო გემი „კარლსრუე“ უკანასკნელ დღეებში დღისთ და ღამით მიდი-მოდის ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროსთან. კრეისერის შემწეობით მთელი რიგი სავაჭრო გემები წაიყვანეს მეამბოხეთა ნავსადგურებში და კორუნიასა და ელ ფეროლში. საზღვაო არსენალსა და ვერფებს ელ ფეროლში, არსებული ცნობებით, გერმანელი ინჟინრები ეანგგებენ. გემების შეკეთებასა და საომარი მასალის მომზადებას ეწევიან მათი ხელმძღვანელობით.



სურათზე: სტახანოველი კოუჩინოვები მ. შაობენ ხალიჩების საქსოვი მანქანის ასათვისებლად

ხალიჩების საქსოვი საამქრო

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა თანდათან ფართოვდება. უკანასკნელ ხანებში საქსოვი საამქროდან გამოპყვეს ხალიჩების საქსოვი საამქრო 10 დაზგით. აქ საუკეთესო ხარისხის ხალიჩები იქსოვება. საბჭოთა საქართველოს 16 წლის თავისათვის მანქანების მონტაჟი მთლიანად დამთავრდება და საამქრო სრული დატვირთვით ამუშავდება.

პირველ კვარტალში ხალიჩების საქსოვმა საამქრომ უნდა მოგვცეს 5000 კვ. მეტრი ხალიჩა. საამქროში 50 მქსოველი იმუშავებს.

ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ხალიჩების საქსოვ საამქროს მიამაგრეს ახალგაზრდა მუშები, რომლებიც საუკეთესოდ ეუფლებიან ქსოვის ტექნიკას.

კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს კურორტებზე

წელს საქართველოს კურორტებზე კაპიტალური დაბანდებანი უმთავრესად მოხმარდება წინა წლებში დაწყებულ სამუშაოთა დამთავრებას.

კაპიტალური დაბანდების სახით წყალტუბოში დაიხარჯება 4.771.000 მანეთი. ამ თანხით დამთავრდება 75-საწოლიანი კლინიკური სანატორიუმი, ერთდროულად 30 კაცის გამტარუნარიანი აბანო, 53-ოთახიანი სასტუმრო, 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი სამედიცინო მუშაკებისათვის, ასეთივე სახლი ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის. გაყვანილი იქნება ელექტრო-ქსელი ქუთაისიდან წყალტუბომდე, დამთავრდება დასავლეთ ნაწილის კანალიზაციის კოლექტორის მშენებლობა.

ბორჯომის წყალსადენის რეკონსტრუქციისათვის დაიხარჯება 140 ათასი მანეთი. მენჯში დამთავრდება აბაზანისა და 53-ოთახიანი სასტუმროს შენობა. გაყვანილი იქნება წყალსადენი და ელდენი. მენჯის კეთილმოწყობისათვის გადადებულია 1.947.500 მანეთი. თბილისს ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო შენობის კეთილმოწყობას მოხმარდება 200 ათასი მანეთი. სკურსა, რიცასა და ბახმაროში ააგებენ ავადმყოფთა საცხოვრებელ სახლებს.

აფხაზეთის კურორტებისათვის გადადებულია 1.310.000 მანეთი. ამ თანხიდან გაგრის შემდგომ კეთილმოწყობას მოხმარდება 940 ათასი მანეთი, გულრიპშისას — 170 ათასი მანეთი, ფსირცხისას — 160 ათასი მანეთი.

ჯავაში დამთავრდება 120-საწოლიანი სანატორიუმის მშენებლობა, რაზედაც დაიხარჯება 80 ათასი მანეთი. საქართველოს ყველა კურორტზე წელს 8.978 ათას მანეთს დახარჯავენ.

გარდა ამისა, არსებული შენობების კაპიტალურ შეკეთებას, ინვენტარ-მოწყობილობის შეძენას ა კურორტთა კეთილმოწყობას საქართველოს საკურორტო სამმართველოს საფინანსო გეგმით მოხმარდება 5.436.000 მანეთი.

ქართული საბავშვო ჟურნალები 1936 წელს

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციამ საბავშვო მწერლებთან ერთად მოაწყო ქართული საბავშვო ჟურნალების („პიონერი და „ოქტომბრელი“) 1936 წლის ნომრების განხილვა.

მოხსენებით გამოვიდა პოეტი ირ. აბაშიძე, რომელმაც გაარჩია 1936 წლის განმავლობაში გამოსული ჟურნალების „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ ნომრები.

— ქართულმა საბავშვო ჟურნალებმა— აბრამს მომხსენებელი — გასულ წლებთან შედარებით დიდად გაუმჯობესეს მუშაობა ახალი კადრების გამოვლენასთან ერთად, მათ შესძლეს საბავშვო ჟურნალების მუშაობაში ჩაებათ კვალიფიციური მწერლები (ნ. გრიშაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, ს. კლდიაშვილი. ნ. ნაკაშიძე და სხვ.), რომელთაც არა ერთი საინტერესო ნაწარმოები მისცეს ბავშვებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიციურ მწერალთა უმრავლესობა ჟურნალებში იძლევა მხოლოდ ზღაპრებს, სადაც ნაკლებად სჩანს მათი ორიგინალური მხატვრული შემოქმედების უნარი, ჟურნალებში უნდა იბეჭდებოდეს ამ მწერალთა ორიგინალური ნაწარმოებები, საბჭოთა სინამდვილეზე აგებული.

ზოგიერთ ნაწარმოებში ვხვდებით დაუჯერებელ, გადამეტებით ფანტასტიურ ამბებს (ბ. ჩხეიძე „გიორგი მეცამტე“ და მ-მ-ჭრალის მოთხრობა ხეკსური ბავშვების შესახებ), რაც ბავშვებზე კარგ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს.

დასასრულ, მომხსენებელმა ჟურნალ „პიონერის“ მე-11 ნომერში გ. კალანდაძის ლექსის მოთავსება შეაფასა უხეშ პოლიტიკურ შეცდომად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟურნალების რედაქციებმა უნდა გაამახვილონ რევოლუციური სიფხიზლე.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ მწერლები: ბ. ჩხეიძე, მომქრალი, ლ. ჭუბინაძე, ე. ასტვაცატუროვი, რ. ქორქია, ი. გრიშაშვილი, ს. ერთაშვილი, დ. ბეჟდლიშვილი და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ: მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა გადიდდეს ჟურნალების ფორმატი, რადგან 16 გვერდიანი ჟურნალები ვერ აკმაყოფილებენ საბავშვო ლიტერატურაზე გაზრდილ მოთხოვნილებას. რედაქციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვებისათვის ისტორიული და უცხოეთის ამბების მხატვრულ სახეებში ძიწოდებას. უნდა გაუმჯობესდეს ჟურნალების მხატვრული გაფორმება, რაც ჯერ კიდევ ვერაა დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. სისტემატურად უნდა იბეჭდებოდეს ბელადებისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების სურათები მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით, რაც უსათუოდ აინტერესებთ და ესაჭიროებათ საბჭოთა ბავშვებს. ჟურნალებში გაცხოველებული უნდა იქნეს გასართობების განყოფილებები.

გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემები

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გასულ წელს გამოსცა სამი წიგნი: დოც. ს. მაკალათიასი „ხევსურეთი“, პროფ. მელიქსეთბეგისა — „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ და ვლადიმეროვის —„ჯემს კუკი“.

მიმდინარე წლის გაზეთ ითვალისწინებს ოთხი წიგნის გამოცემას. აქედან მალე გამოვა გამოჩენილი ინგლისელი გეოგრაფის ეენგზუზენდის წიგნი „ბრძოლა ევერესტისათვის“. წიგნში აწერილია მთელი ის მუშაობა, რომელიც ინგლისის გეოგრაფიულმა და ალპურმა საზოგადოებებმა გასწიეს მსოფლიოს უდიდესი მწვერვალის ევერესტის დაპყრობა — შესწავლისათვის. გამოცემული იქნება პირველი ქართველი გეოგრაფიოს ვახუშტის ეოგრაფია, დოც. დ. ქურდიანის „სტრატოსფერო“ და კრებული „მასალები კოლხეთის ბარის გეოგრაფიისათვის“.

წიგნების ბეჭდვა უკვე დაწყებულია.

ბორჯომი ემზადება საკურორტო სეზონისათვის

ბორჯომმა სახე იცვალა. გალამაზდა. აღებულია ძველი ნაგებობანი, გასწორდა ქუჩები, გუდრონირებულია ცენტრალური ქუჩები (კიროვის, ლუქსემბურგის, პარიზის კომუნის), მოწესრიგებულია ელექტროგანათება, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და წარმოება-დაწესებულებანი უზრუნველყოფილი არიან ელექტროგანათებით.

საკურორტო სეზონისათვის ბორჯომის საკურორტო სამმართველომ უკვე დაიწყო მზადება. მიმდინარე წელს აგებული იქნება ახალი 100-საწოლიანი კლინიკური სანატორიუმი, ამ დღეებში დამთავრდება ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის რეკონსტრუქცია, მალე დაიწყება მოედნების, ბაღ-სკვერების გალამაზება და ხიდების შეკეთება. საკურორტო დარგის სპეციალისტებისათვის ბორჯომში აიგება ახალი საცხოვრებელი სახლი, მოხდება მინერალური წყლების ბაღის რეკონსტრუქცია.

გრ. ლომიძე.

ჭადრაკი

ჭადრაკის ამოცანათა შედგენის საერთაშორისო კონკურსის შედეგები

ჟურნალ „Шахматы в СССР“-ის მიერ გამოცხადებული იყო 1936 წლის განმავლობაში ჭადრაკის ამოცანათა შედგენის საერთაშორისო კონკურსი. ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ასოცამდე საჭადრაკო ამოცანათა კომპოზიტორმა. მათ შორის იყვნენ როგორც საბჭოთა ისე ცნობილი უცხოელი კომპოზიტორ-ოსტატები.

კონკურსის მსაჯთა კოლეგიამ საუცხოო შეფასება მისცა და პირველი ჯილდო მიანიჭა ქართველ კომპოზიტორ მოჭადრაკეს ამხ. ალ. დობორჯგინიძეს (აბასთუმანი).

აღსანიშნავია, რომ ამხ. ალ. დობორჯგინიძე საკმაოდ ცრობილია ჭადრაკის საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა შორისაც, მას არაერთხელ აუღია ჯილდოები საერთაშორისო კონკურსში საჭადრაკო ამოცანების საუკეთესოდ შედგენისათვის.

ობილისის საჭადრაკო პირველობის ტურნირი გაიხსნება 25 თებერვალს. ამ ტურნირში კონკურსის გარეშე მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჭადრაკის ოსტატები მომე რესპუბლიკებიდან: ამხ. მაკაენოვი (ბაქო) და ამხ. გასპარიანი (ერევანი). მათ უკვე ჯანაცხადეს თანხმობა ტურნირში მონაწილეობაზე.

შემთხვევები

 # მძარცველები. 18 თებერვალს ღამით მოქალაქეებმა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს აცნობეს, რომ ორჯონიკიძის ქუჩაზე მათ ნახეს უცნობი დაჭრილი მოქალაქე. დაჭრილი მიიყვანეს ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში, სადაც ეგზორცვა, რომ ის არის ი. მ. კალატეიკი, მცხოვრები ორჯონიკიძის ქუჩაზე № 113. კალატეიკი დაჭრილი იყო თავში ცივი იარაღით და მძარცველებს მისთვის გაეხადნათ ტანსაცმელი. რა პირობებში მოხდა კალატეიკის დაჭრა და გაძარცვა, სიმოკრალს ვაშო მან ეს ვერ სთქვა. იმავე ღამეს, დაახლოებით 4 საათზე, მილიციის მე-3 განყოფილების მორიგემ უბნის ინსპექტორმა ამხ. ცომაიამ უბნის შემოვლის დროს ბლდანის ქუჩაზე შენიშნა ორი უცნობი, რომელთაც მიეჭონდათ რაღაც გამოკრული ნივთები. მილიციის მუშაკის დანახვისას უცნობები გაიქცნენ, მაგრამ ცომაია დაეწია მათ და წინადადება მისცა ეჯეოლოდნენ მილიციის განყოფილებაში. ამ დროს ერთერთმა ბოროტმოქმედმა ამოიღო დამალული რკინის კეტი, თავში დაჰკრა ცომაიას, რის შემდეგ კვლავ გაიქცნენ. დარტყმის შემდეგ ცომაია სწრაფად მოვიდა გონს, მაგრამ შესაძლებლობა აღარ ჰქონდა კვლავ დასწეოდა ბოროტმოქმედთ, რომლებიც მის ყვირილზე არ შეჩერდნენ. ამხ. ცომაია იძულებული გახდა იარაღისთვის მიემართნა და შესაშინებლად ერთხელ გაისროლა, მაგრამ ბოროტმოქმედნი მაინც არ გაჩერდნენ. მაშინ ცომაიამ ესროლა და მოჰკლა ერთერთი ბოროტმოქმედი, მეორე დაჯაჭვეს. მძარცველებს აღმოაჩნდათ კალატეიკისთვის წართმეული ყველა ნივთი. ეგ მოძიება გრძელდება.

 # გაუფრთხილებელი სვლა. 18 თებერვალს, დღისით, გერმანელთა ქუჩაზე სა. ბარგო ავტომობილმა № 19—93, რომელსაც მართავდა ზოფერი ა. გ. მაჩურაშვილი, დაეჯახა 14—15 წლის უცნობ ბავშვს და მძიმედ დაშავა. ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მალე გარდაიცვალა. ზოფერი მაჩურაშვილი დაუპატიმრეს.

ახალი დანიშვნები

სსრ კავშირის ეკონომიკურ დადგენილებით მისი ფაქტ. საქმეთა მოგზაურ ელჩად სსრ კავშირებით ამხ. მარსელ ბაზრაილის ... ფოიბულია ესპანეთში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ესპანეთში დაინიშნა ამხ. **ლეონ იაკობის-ძე გაიკისი.**

ლანჩხუთის თეატრის გახსნა

ლანჩხუთში დამთავრდა ახალი სათეატრო შენობის აგება. თეატრის საზეიმო გახსნა მოხდება 28 თებერვალს.

შენობა აგებულია არქიტექტორ თავაძისა და კ. გვასალიას პროექტით. დარბაზი დაიტევს 650 მაყურებელს. ლანჩხუთის თეატრი თავისი მოცულობით და გიგიენურ-ტექნიკური ... ერთერთი საუკეთესოა რაიონულ თეატრებს შორის.

თეატრის ხელმძღვანელად და რეჟისორად მოწვეულია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. აბაშიძე.

გახსნის დღეს, 28 თებერვალს, თეატრში შესდგება საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოწვეული არიან რაიონის კოლმეურნეობების და საწარმოების სტახანოველები, აგრეთვე სტუმრები თბილისიდან და მეზობელი რაიონებიდან. საზეიმო სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნება თეატრის პირველი დადგმა „ნინოშვილის გურია“.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გამოყოფილია ლანჩხუთის თეატრის გახსნის კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეა საქ. კ.პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. აკ. მახათაძე.

ახალი ამბები

○ **თბილისის** რესპუბლიკური სამავშვო საავადმყოფოს გასაფართოებლად თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასდო 300.000 მანეთი.

○ **ჯულელის** რაიონის დამამზადებელმა კანტორამ სვირში ააგო ღვინის მარანი 45.000 დეკალიტრის ტევადობისა. მარნის მშენებლობაზე დაიხარჯა 200.000 მანეთი.

○ **თბილისის** ზოოპარკის დირექცია ზოოპარკთან აწყობს ზოოლოგიურ მუზეუმს.

○ **გურჯაანში** შენდება ახალი სრული საშუალო სკოლა. მშენებლობა დამთავრდება მომდინარე წლის შუა თვეებში, მშენებლობაზე დაიხარჯება 350.000 მან.

○ **ღრმა-ღელეში** (თბილისი) გაიხსნა ახალი სამშობიარო სახლი 50 საწოლით.

კრებები

— **ტუბინსტიტუტის** აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. 16) დღეს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საქართველოს სამეცნიერო საექიმო საზოგადოების მორიგი პლენარული სხდომა.

— **განათლების მუშაკთა სახლში** (ფურცელაძის ქ. 3) 22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. ვ. ბოკუჩავას ლექცია თემაზე: „ლენინი და ხელოვნება“. დასწრება თავისუფალია.

პარტკალენდარი

— **ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის აქტივისათვის გაიმართება ამხ. გ. კვიცარიძის მოხსენება თემაზე: „ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი პერიოდის შესახებ“ (ქართულ ენაზე).

— **26 კომუნარის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1505776, გაცემული გასული წლის 21 ივნისს 26 კომუნარის რაიკომის მიერ ამხ. გრიგოლ სტეფანეს-ძე სირაძის სახელზე, და პარტბილეთი № 1505023, გაცემული გასული წლის 23 მაისს 26 კომუნარის რაიკომის მიერ ამხ. მიხეილ აგალოს-ძე ენიკოლოვოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) ბაშურის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1521523, გაცემული ვასილ ალექსის-ძე ორაშვილის სახელზე, პარტბილეთი № 1534663, გაცემული ალექსი დიმიტრის-ძე გრიგალაშვილის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0713133, გაცემული ისაკი გიორგის-ძე ტუსიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) საბურთალოს რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1520918, გაცემული გასული წლის 4 ივნისს საბურთალოს რაიკომის მიერ კარპეზ ესტატესის-ძე ერემეშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1525988, გაცემული ლანჩხუთის რაიკომის მიერ ამხ. შალვა ილარიონის-ძე თოდრიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 716180, გაცემული საქ. კ.პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მიერ გასული წლის 13 ივნისს ანდრო იასონისძე ჩხაიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად

ამხ. ა. ი. ეგოროვი ჩავიდა რიგაში

რიგა, 19 თებერვალი (საქდესი). მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ი. ეგოროვი და მისი თანმხლები პირნი — მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურები, დღეს დილით ჩამოვიდნენ რიგაში.

ლატვია-ლატვიის საზღვარზე ამხ. ეგოროვს შეხვდნენ და რიგამდე გააცილეს ლატვიის არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ფენტინშმა, სსრ კავშირის სამხედრო ატაშემ ლატვიაში პოლკოვნიკმა გლინსკიმ და სხვებმა.

რიგის სადგურზე ამხ. ეგოროვს შეხვდნენ ლატვიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ჰარტმანისი, ლატვიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე გენერალი დამბიტისი, რიგის გარნიზონის უფროსი გენერალი ვიოსაიტისი და ლატვიის არმიის სხვა დიდი მოხელენი, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელნი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ბროდოვსკი და რიგის მთელი საბჭოთა კოლონია.

სადგურის ბაქანზე საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. ეგოროვს მეიღლმა საპატიო ყარაული. როდესაც ამხ. ეგოროვმა საპატიო ყარაულს წინ გაიარა, ორკესტრმა შეასრულა სსრ საბჭოთა და ლატვიის სახელმწიფო ჰიმნები. სადგური მორთული იყო სსრ საბჭოთა და ლატვიის სახელმწიფო დროშებით. სასტუმროზე, სადაც ამხ. ეგოროვი და მისი თანმხლები მეთაურები გაჩერდნენ, აღმართეს საბჭოთა სახელმწიფო დროშა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო ამერიკის ელჩი

მოსკოვი, 19 თებერვალი (საქდესი). სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა 19 თებერვალს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნ ჯოზეფ დევისი. ბ-ნ დევისის მიღებას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი.

თავდაცვის სესხის გამოშვებისათვის ინგლისში

ლონდონი, 19 თებერვალი (საქდესი). რეზოლუცია თავდაცვის სესხის გამოშვების შესახებ თემთა პალატაში მიიღეს 329 ხმის უმრავლესობით 145-ის წინააღმდეგ.

შეკითხვა ეცხოეთის საქმეთა საპარლამენტო კომისიაში

პარიზი, 18 თებერვალი (საქდესი) გუშინ უცხოეთის საქმეთა საპარლამენტო კომისიაში კომუნისტმა დეპუტატმა პერიმ შეკითხვა შეიტანა, დასთანხმდება თუ არა საფრანგეთი თავისსა და ესპანეთის საზღვარზე მიიღოს საერთაშორისო საკონტროლო კომისია, თუ პორტუგალია უარს განაცხადებს ასეთსავე კონტროლზე თავის საზღვარზე. კომისიის თავმჯდომარემ მისტლერმა უპასუხა, რომ კონტროლი არ შეიძლება ცალმხრივი იყოს, და რომ არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებს, რათა ძის საზღვრებს კონტროლი გაეწიოს ურთიერთი კონტროლის გარეშე. მისტლერის აზრით, საეჭვოა, რომ პორტუგალია უარს განაცხადებს ამ საკითხის შესახებ შეთანხმებაზე.

საექიმო პუნქტებში

— ექიმის ნახვა სად შეიძლება?

— ხუგდიდში! „მოსწრებულად“ უპასუხეს სოფ. ორულ-ერგეტის კოოპერატიული სავაჭროს წინ თავმოყრილმა ახალგაზრდებმა პირსახოცითა და ყაბალახით თავშეხვეულ კაცს, რომელიც საექიმო პუნქტის შენობას მიადგა

ბევრი ექიმი დაუხიშნავთ სოფ. ორულ-ერგეტის საექიმო პუნქტში, მაგრამ ხანგრძლივად არავინ გაჩერებულა: ფანჯრის მინები ჩალეწილია, კედლები ფარულალაა, იატაკი ჩანგრეულია.

ახლა ინვენტარს და საექიმო პუნქტის ხელსაწყოებს არ იკითხავთ? ოდესღაც პუნქტს ერთი შკაფი ჰქონია, ახლა ისიც დამტვრეულა. საექიმო ხელსაწყოების კომპლექტი ჰქონიათ, ისიც განიავებულა. აქ ერთი ექიმის თანაშემწე მუშაობს, მაგრამ ის კერძო პრაქტიკით ფფრო არის დაინტერესებული. სოფლის საბჭოს მუშაკები რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებისაგან ექიმის დანიშვნას ყოველდღე მოითხოვენ, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრნიათ საექიმო პუნქტის რიგიანად მოწყობაზე.

სულ სხვას ნახავთ ორულ-ერგეტის მეზობელ სოფ. დარჩელის საექიმო პუნქტში. შუაგულ სოფელში აგებული ათასწოლიანი საავადმყოფოს და პუნქტის ოთხთვალი შენობები, როგორც იტყვიან, სოფლის თვალია, თავისი სიკოხტავით გამვლელის ყურადღებას იქცევენ. ამ საავადმყოფოსა და პუნქტში ერთი ექიმი, ექიმის სამი თანაშემწე და ერთი ბებია ქალი მუშაობენ.

დარჩელის კოლმეურნეებს ყოველთვის შეუძლიათ ძიიღონ პუნქტში კვალიფიციური საექიმო დახმარება და იმკურნალონ რიგიანად მოწყობილ საავადმყოფოში.

სოფელ ჯვარში პუნქტი ამ შვიდიოდე წლის წინათ ჩამოაყალიბეს. მაშინ პუნქტს არც ბინა ჰქონდა და არც საჭირო ხელსაწყო-იარაღები. ამბულატორია კერძო ბინაში იყო თავშეფარებული, მოსახლეობაც ასეთ პუნქტს ალმაცერად შეჰყურებდა.

რამდენიმე ხნის წინათ სოფლის საბჭოს თაოსნობით პუნქტი სანიმუშოდ გადაიქცა. მისაღები, საოპერაციო, შესახვევი და ავადმყოფთა მოსაცდელი ოთახები საუკეთესოდ არის მოვლილი.

პუნქტის გამგე ექ. ემ. გუნია მარტო ავადმყოფების მიღებით როდი კმაყოფილდება. (ამბულატორიაში ყოველდღე 15-20 კაცი მაინც მოდის). ამბულატორიული მუშაობისაგან თავისუფალ დროს კოლმეურნეობებში მართავს საუბრებს სხვადასხვა ავადმყოფობათა შესახებ.

აბორტების აკრძალვის შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ პუნქტის მუშაკებმა აღრიცხეს ორსული ქალები, მათ კონსულტაციას უწევენ, სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევენ. ამიტომ არის, რომ სოფელში ახლა მუცლის მოშლის ერთ შემთხვევასაც ვერ შეხვდებით.

პუნქტის მუშაკებმა უკვე მოახდინეს ყვავილისა და ტიფის საწინააღმდეგო აცრა. რამდენჯერმე შეამოწმეს მოწაფეთა ჯანმრთელობა და სხვ.

ჯვარი წარმოადგენს სატყეო-სამრეწველო მეურნეობისა და სვანეთის გზის მშენებლობის საკვანძო ადგილს. სეზონის დროს აქ თავს იყრის მრავალი მუშა, ხშირია ტრავმატული და ისეთი შემთხვევები, როცა ავადმყოფს სტაციონარული დახმარება სჭირდება. სწორედ ამიტომ ჯვარელები დიდიხანია მოითხოვენ ათასწოლიანი საავადმყოფოს გახსნას, მაგრამ წალენჯიხის ჯანმრთელობის განყოფილებამ ეს მოთხოვნა დღემდე არ შეასრულა.

შ. ჯიქია.

თბილისის ლენინის ორდენოსანი ოკტომბრისა და ბალეტის ზ. პ. ფალიაშვილის სახელ. სახელმწიფო თეატრი

22-II	ქეთო და კოტე
23-II	აბესალომ და ეთერი

დასაწყისი 8 საათზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

22-II	ალკაზარ
23-II	ალკაზარ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

22-II წარ. № 110	ისკა რიქინაშვილი
23-II წარ. № 111	ძალად ექიმი

ექიმი ი. ჭეიშვილი

კანის და ვენერიული ავად.

იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს.

კამოს ქუჩა № 72.

სახსირკი
ტელ. 3-11-44

24 თებერვ. დღის წარმ. დასაწყ. 2 ს.

დღეს 22 თებერვალს მე-4 ოკლის ახალი „ახსაკუთრებული საატრაქციონო პროგრამის საღამო.
სამი ატრაქციონი ერთ საღამოს:
მოტოციკლები ჰაერში 4 დონეშანი.
უცხოეთის ატრაქციონი **ჯეფრისი.**
კავკასიის რეკორდსმენი **ელდარ გეოქჩაილი**
და ძალიანი სხვა ხუმრები.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12—2 ს. და 5 ს.

22/II **სახკინმარეწვის თეატრებში**

ოქ